



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე წლის სტუდენტი

გულნაზი ღვინიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: ანდერძით მემკვიდრეობა და მისი აღსრულების სამართლებრივი თავისებურებანი

(შედარებითი ანალიზი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ლია ჭილაშვილი, პროფესორი**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

გორი

2021

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი არის ჩემი ორიგინალური ნამუშევარი და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ნაშრომში ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გულნაზი ღვინიაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.....	8-10
თავი I. ანდერძით მემკვიდრეობის ზოგადი მიმოხილვა	
1.1 მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა.....	10-13
1.2 ანდერძით მემკვიდრეობის რეგულირება.....	13-16
1.3 სამართლის სისტემა და ანდერძით მემკვიდრეობა.....	16-18
თავი II. ანდერძით მემკვიდრეობა საქართველოს კანონმდებლობით	
2.1 იურიდიული პირი და მემკვიდრეობა.....	18-19
2.2 უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტი.....	19-22
2.3 უღირსი მემკ და ანდერძის აღსრულება.....	22-25
თავი III. ანდერძის აღსრულება	25-37
3.1 ანდერძის აღსრულების სამართებრივი საფუძვლები	
3.2 ანდერძის უპირატესობა და აღსრულება.....	27-29
3.3 ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებული პრაქტიკა, საქართველოში არსებული მდგომარებით	29-32
3.4 სასამართლო სისტემა და ანდერძის აღსრულება.....	32-33
3.5 ანდერძის აღსრულება უცხო ქვეყანაში.....	33-37
თავი IV. ანდერძით მემკვიდრეობა უცხო ქვეყნის კანონმდებლობით	
4.1 ანდერძით მემკვიდრეობა გერმანიის კანონმდებლობით.....	37-40
4.2 შედარებითი ანალიზი საქართველოსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან.....	40-42
თავი V. ანდერძით მემკვიდრეობის თანმდევი პრობლემები	

5.1საანდერძო ქმედუნარიანობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....	42-46
5.2ანდერძის შეცვლა ან მოშლა	46-48
თავი VI. ანდერძთან დაკავშირებული გამოწვევები COVID-19-ის პირობებში	
6.1 ანდერძის თავისებურებანი COVID-19-ის პირობებში.....	48-49
6.2 ანდერძის შეცვლის საშუალებები პანდემიის პირობებში	49-51
თავი VII სასამართლო პრაქტიკის განხილვა.....	
7.1 სასამართლო გადაწყვეტილება I.....	
7.2 სასამართლო გადაწყვეტილება II.....	
დასკვნა.....	56-57
ბიბლიოგრაფია.....	57-60

აბრევიატურები:

- ა.შ - ასე შემდეგ
- გვ. - გვერდი
- ე.წ - ეგრეთ წოდებული
- ე.ი - ესე იგი
- ი.ხ - იხილეთ
- მაგ. - მაგალითად
- სსკ- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემა ეძღვნება ანდერძით მემკვიდრეობას და მიეკუთვნება სამემკვიდრეო სამართლის ინსტიტუტს.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს ანდერძით მემკვიდრეობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, აღსანიშნავია რომ კანონმდებლობაში გვაქვს ისეთი ნორმებიც, რომლებიც პრობლემატურია და მნიშვნელოვანია მისი განხილვა.

საზოგადოებაში არსებული ცნობიერება მემკვიდრეობითი სამართლის, კერძოდ კი ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტის მიმართ დაბალია, ვინაიდან საზოგადოების უმრავლესობისათვის უცნობია როგორ უნდა აღსრულდეს საქართველოში დაწერილი ანდერძი სხვა ქვეყანაში.

რთულად რეგულირებადია სართაშორისო კანონმდებლობით საქართველოში ანდერძის აღსრულების საკითხიც, მიუხედავად იმისა რომ გვაქვს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომში გადმოცემულია თუ რას გულისხმობს ანდერძით მემკვიდრეობა, როგორია მისი აღსრულების წესი, ასევე გამოყავითმასთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე წარმოდგენილი სიახლეები ანდერძთან დაკავშირებით.

Annotation

The topic of the master thesis is dedicated to testamentary inheritance, it belongs to the Institute of Inheritance Law.

Georgian civil legislation is familiar with the legal norms governing testamentary inheritance, it should be noted that there are some norms in the legislation that are problematic and important to discuss.

Public awareness of inheritance law, in particular the institution of testamentary inheritance, is low, as most people do not know how to enforce a will written in Georgia in another country.

It should also be noted that the issue of enforcing a will in Georgia is difficult to regulate under international law, despite the fact that we have a law on private international law.

The master's thesis outlines what is meant by inheritance in a will, what is the rule of its execution, as well as the problems related to it, as well as the presented news related to the will.

შესავალი

კვლევის აქტუალობა

დიდია მემკვიდრეობითი სამართალის როლი როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში. სამართლებრივი ნორმის განმარტებით,- გარდაცვლილი პირის ქონებრივი, პირადი უფლებების და მოვალეობების გადასვლის რეგულირების წესსა და პირობებს - მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.¹

მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ ყოველთვის დგება საკითხი თუ ვის უნდა დარჩეს ქონება და როგორ უნდა განაწილდეს იგი. ხშირად ისმის კითხვა თუ მემკვიდრეობის რა ნაწილი ეკუთვნის ამა თუ იმ პირს სამკვიდროდან, ან ეკუთვნის თუ არა საერთოდ.

აქვე აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, მემკვიდრეობის უფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალ მემკვიდრეობითი გზით საკუთრების უფლების შენარჩუნება მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ. ამ უფლების არარსებობის პირობებში ქონება ავტომატურად სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა, რაც თავის მხრივ დაასუსტებდა საკუთრების ინსტიტუტს. ამ პირობებში კი თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და მხოლოდ ფაქტობრივი და არა სამართლებრივი დასასრული აქვს,“² სწორედ ასეთი განმარტება აქვს უზენაეს სასამართლოს მემკვიდრეობის საკითხთან მიმართებით.

სამაგისტრო ნაშრომი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ მოვახდინოთ სწორი შეფასება ანდერძით მემკვიდრეობისა და მისი აღსრულების წესის. იმისათვის, რომ ანდერძის სრულყოფილი აღსრულება მოხდეს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძი დაწერილია უცხო ქვეყანაში, ან უცხო ქვეყანაშია აღსასრულებელი.

¹შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, გვ.6

²(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.75, 2012

)საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.75;.

ყოველთვის ისმის კითხვა, როგორ უნდა მოხდეს აღსრულება და რომელი ქვეყნის სამართლის ნორმები გამოვიყენოთ?! რაღაც ნაწილი რეგულირდება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებით თუმცა ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს სამართლის სისტემაში და მათ შორის სამემკვიდრეო სამართალში კერძოდ კი ანდერძის აღსრულებისას.

სამეცნიერო კვლევის საგანი

ნაშრომის სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს ანდერძით მემკვიდრეობის ზოგადი მიმოხილვა, კერძოდ მისი წარმოშობა, მნიშვნელობა და სახეები. ჩვენი კვლევა ასევე მოიცავს ანდერძის ცნების განმარტებას საქართველოს კანონმდებლობით და მასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგ: ზნეობრივი, სამართლებრივი და სხვა. ნაშრომში განხილულია ანდერძის დადებითი და უარყოფითი მხარეები, წარმოდგენილია საქართველოს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში ანდერძის საკითხებიც.

სამეცნიერო კვლევის მიზანი

სამეცნიერო კვლევის მიზანია განხვიხილოთ და შევისწავლოთ ანდერძით მემკვიდრეობის საკითხები უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან მიმართებით, ანდერძით მემკვიდრეობის სამართლებრივი საფუძვლები და მათი რეგულირების თავისებურებანი. ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენს ანდერძით მემკვიდრეობის ძირითადი საკითხების თანმიმდევრული განხილვა, მასთან წარმოშობილი სხვადასხვა მოსაზრებისა და პრობლემის გაანალიზება და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება.

სამეცნიერო სიახლე

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემა არის პირველი, სადაც განხილული გვაქვს ანდერძით მემკვიდრეობა და მათი აღსრულების სამართლებრივი თავისებურებანი უცხო ქვეყნის კანონმდებლობით, აგრეთვე მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ნაშრომში დასმულია და პასუხგაცემულია კითხვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ანდერძის აღსრულება სხვა ქვეყნის კანონმდებლობაში.

აქვე განვიხილეთ ანდერძის ფორმები, საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით და, ასევე ნათლად არის წარმოჩენილი ანდერძით მემკვიდრეობის საკითხები საქართველოს კანონმდებლობით.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომი აგებულია სამეცნიერო მეთოდებზე, რომელიც ხელს უწყობს თემის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

კვლევისას გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, აგრეთვე გამოყენებული ჰიპოთეზის მეთოდი, კერძოდ ჰიპოთეზის დასმის, გაანალიზებისა და შემოწმების მეთოდი.

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში ასევე გამოყენებულია მონოგრაფიული, სისტემური და აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდები, ზემოთ ჩამოთვლილ კვლევის მეთოდებს აქვს საერთო მიზანი, ეს არის კვლევის სრულყოფილი განხილვა და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება.

ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება შესავალის, ხუთი თავის, თექვსმეტი პარაგრაფის, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ბიბლიოგრაფია.

თავი I. ანდერძით მემკვიდრეობის ზოგადი მიმოხილვა

1.1 მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა

მემკვიდრეობითი სამართალი სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული პირის გარდაცვალების შემდგომ გარდაცვლილი პირის უფლებების და მოვალეობების გადასვლა სხვა პირზე.

მემკვიდრეობა, როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის მიხედვით, არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად. ზოგჯერ ყურადღება მახვილდება ქონების სხვა პირებზე გადასვლის საკითხებზეც. მემკვიდრეობის შინაარსი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან. მაგრამ იურიდიულად ქონებრივი ურთიერთობა არ წყდება. ისინი კვლავ არსებობენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გარდაცვლილი პირის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლეები წარმოადგენენ ასეთ ურთიერთობათა სუბიექტებს.³

მოცემულ შემთხვევაში აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მემკვიდრეობითი სამართლის ინსტიტუტის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირის გარდაცვალების შემდგომ ყველა ურთიერთობა წყდება გარდა ერთისა ეს ქონებრივი ურთიერთობაა რომლის შემდგომში განხორციელება გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეებს შეუძლიათ.

ადამიანის სიკვდილი იწვევს მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობას. ასეთ დროს ადგილი აქვს არა მხოლოდ ცალკეული უფლებისა და მოვალეობის, არამედ მათ ერთობლიობაში გადასვლას მემკვიდრეებზე, რის გამოც მემკვიდრეობა წარმოადგენს საერთო და უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას, რომელიც უნდა განვასხვავოთ კერძო ან სინგულარული უფლებამონაცვლეობისაგან. საერთო ან უნივერსალური უფლებამონაცვლეობისას ადგილი აქვს მთელი სამკვიდრო ქონების გადაცემას ერთდროულად ყველა მემკვიდრისათვის. კერძო ან სინგულარული უფლებამონაცვლეობისას კი ცალკეული მემკვიდრეობის უფლების გადაცემას

³შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 9

კონკრეტული მემკვიდრისათვის. ამავე დროს, როგორც უნივერსალური, ისე სინგულარული უფლებამონაცვლეობისას არ დაიშვება მემკვიდრის შეხედულებითა და ნება-სურვილით რომელიმე უფლების მიღება ან მასზე უარის თქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრე, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს ყველა უფლება ერთად ან მათზე განაცხადოს უარი. მემკვიდრის მიერ რომელიმე კონკრეტული უფლების მიღება ავტომატურად იწვევს მის მიერ დანარჩენი უფლებების მიღებასაც.⁴

კანონმდებელმა ნათლად წარმოაჩინა და განსაზღვრა სწორად, მემკვიდრეობის გადაცემის დროს უფლებამონაცვლების როლი, სადაც დააწესა ზღვარი და აღნიშნა რომ უფლებამონაცვლე ვალდებულია მიიღოს ყველა უფლება, რომელიც მემკვიდრეებს ჰქონდა, კანონმდებლობა უფლებამონაცვლეს არ უტოვებს იმის შესაძლებლობებს ამოიჩიოს რომელიმე უფლება, რაც ვფიქრობთ ძალიან მნიშვნელოვანია მემკვიდრეობით სამართალში.

მემკვიდრეობითი სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. ქონებაში იგულისხმება არა მარტო აქტივი, არამედ პასივიც. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ უძველეს ძირითად უფლებას წარმოადგენს. თანამედროვე გაგების სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე მემკვიდრეობის ინსტიტუტი გარდაუვალი აუცილებლობით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ადამიანთა საზოგადოება, საოჯახო ურთიერთობათა წარმოქმნასთან ერთად, მემკვიდრეობის ობიექტურად არსებული ურთიერთობების მონაწილე ხდებოდა.⁵

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, განმარტებაც, რომ ქონების გადასვლა მემკვიდრეზე რეგულირებული და მემკვიდრეზე როგორც პასივე აგრეთვე აქტივი გადადის. დროის ფაქტორთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ საუკუნეებს უძლებს მემკვიდრეობითი სამართლის ინსტიტუტი, ჯერ კიდევ ძველი წლებიდან

⁴ჩიკვაშვილიმ., მემკვიდრეობითისამართალი, თბილისი, 2000, გვ. 21

⁵შენგელიარ./ შენგელიაე., მემკვიდრეობისსამართალი, თეორიადაპრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 10

მომდინარეობს იგი, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ეტაპობრივად იხვეწებოდა ანდერძის შედგენის მეთოდოლოგია წლებთან ერთად.

მემკვიდრეობის სამართლი ხელს უწყობს ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობათა მოწესრიგებას და განმტკიცებას. ამასთან, მემკვიდრეობის სამართალი უშვებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს, რაც გულისხმობს პირის თავისუფალი ნების განხორციელებას თავის შეხედულებისამებრ განკარგოს ქონებრივი ან სხვა ხასიათის უფლებები, გარდაცვალების შემთხვევაში.⁶

საქართველოს კანონმდებლობაში ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს სწორედ ანდერძით მემკვიდრეობის დროს თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს, აღნიშნული პრინციპის საფუძველზე მამკვიდრებელს სრული უფლება აქვს თავისი შეხედულებისა და სურვილის მიხედვით გადაწყვიტოს საკუთარი ქონების ბედი.

გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონება სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) გადადის. მემკვიდრეები მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეები ხდებიან კანონით ან ანდერძით. მაშასადამე, არსებობს მემკვიდრეობის ორი სახე-კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა.

ამის მიხედვით მემკვიდრეებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი შეიძლება იყვნენ კანონით მემკვიდრეები ან ანდერძით მემკვიდრეები. თუმცა, შესაძლებელია პირი ორივე საფუძვლით იყოს მემკვიდრე. იმ შემთხვევაში თუ ანდერძით მემკვიდრე ამავე დროს კანონით მემკვიდრეა იმ რიგს მიეკუთვნება, რომელიც მოწვეული იქნება ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების მისაღებად, მაშინ იგი მიიღებს ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასა და შესაბამის წილს ანდერძით გათვალისწინებულ სამკვიდროდან ორი შვილიდან თუ ერთ-ერთს ეანდერძა სამკვიდროს ნახევარი, მეორე ნახევრიდან ის სხვა პირველი რიგის კანონის მემკვიდრეებთან ერთად მიიღებს წილს , როგორც კანონით მემკვიდრე.⁷

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მემკვიდრეობის სამართალში გვაქვს მემკვიდრეობის ორი სახე კანონით და ანდერძით მემკვიდრეობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ

⁶ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 6
⁷საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000 წელი, გამომცემლობა „სამართალი“ გვ.362

ანდერძით მემკვიდრეობა გამოხატავს მამკვიდრებლის სრულყოფილ და ნამდვილ ნებას რომლის მიხედვითაც მამკვიდრებელი საბოლოოდ განასზღვრავს თავის უფლებამონაცვლეს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ მნიშვნელოვანია კავშირი მემკვიდრეობით სისტემასა და ისტორიული ევოლუცია ურთიერთობას შორის, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურას და მისი პოლიტიკური სისტემაზე, ძირითადი აქცენტი ევროპის ფეოდალურ ხანას ეთმობა. აღნიშნული მოდელი პროგნოზირებს, რომ ადრეულ აგრარულ წყობაში არისტოკრატიული პოლიტიკური სისტემები ჭარბობს, ხოლო დემოკრატიული ქვეყნები ინდუსტრიალიზაციასთან ერთად იჩენენ თავს. ამავე დროს, მემკვიდრეობასთან განუყოფელი მიწის ნაკვეთები კაპიტალით იცვლება, როგორც სიმდიდრის ძირითადი წყარო, მემკვიდრეობის სისტემა ენდოგენურად ვითარდება პრიმოგენურიდან დანაყოფამდე. ხოლო წარმოების, განაწილების, კლასობრივი სტრუქტურისა და პოლიტიკური მონაწილეობის დინამიკა, თავის მხრივ, განამტკიცებს თაობათა შორის თაობის სიმდიდრის გადაცემის სისტემას.⁸ აღნიშნული მიუთითებს თაობათა შეცვლის პროცესში მემკვიდრეობით სამართლის როლზე.

აქვე მემკვიდრეობის სამართალთან დაკვირვებით უნდა აღინიშნოს რომ, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მემკვიდრეობითი სამართალი შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა. უკვე VIII-IX საუკუნეებში საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი არსებობდა. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა არუარყოფს, რომ მემკვიდრეობის დაუწერელი ადათ-წესები არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე.⁹

1.2 ანდერძით მემკვიდრეობის რეგულირება

ანდერძით მემკვიდრეობის რეგულირების სფერო ძალზედ რთულია იგი, როგორც ძველ საუკუნეებში აგრეთვე ახლაც ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, მემკვიდრეობითი სამართლის ნაწილში.

⁸ Bertocchi, G. (2006). The Law of Primogeniture and the Transition from Landed Aristocracy to Industrial Democracy.

⁹ ნ. როსეფაშვილის სტატია - მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით,

შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის კანონმდებლობა კომპლექსური ხასიათისაა. მასში უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებია. ამასთან მემკვიდრეობითი ურთიერთობების განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება მიწის, საფინანსო, ადმინისტრაციული, პროცესუალური და სხვა სახის საკანონმდებლო ნორმების დახმარებით.

მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოქმედების სფერო შედარებით ფართოა, ვიდრე მემკვიდრეობითი წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების. სხვა დარგების ნორმების გამოყენების აუცილებლობა მემკვიდრეობის კანონმდებლობას ანიჭებს კომპლექსურ ხასიათს, რაც თავის მხრივ მემკვიდრეობით ურთიერთობათა ყველა დეტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველია. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა, წარმოადგენს მემკვიდრეობის კანონმდებლობას. იგი სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილი და მემკვიდრეობის სამართლის საფუძველია.

საქართველოს კონსტიტუციაში მოცემულია მემკვიდრეობის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები, კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილია მემკვიდრეობის უფლება. დაუშვებელია საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებია მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ეს დებულებები უდევს საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის- მემკვიდრეობით სამართალი-კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს.¹⁰

როგორც აღნიშნული ლიტერატურიდანაც ჩანს ანდერძით მემკვიდრეობის საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, და არა მარტო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მისი რეგულირების სფერო ძალზედ ფართოა საქართველოს კანონმდებლობაში და იგი მოიცავს სხვადასხვა ნორმებს როგორც საერთაშორისო სამართლის კუთხით აგრეთვე შიდა კანონმდებლობით.

¹⁰<https://elawjournal.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/> „ანდერძით მემკვიდრეობის და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)“ თამარ გრიგოლია, ნანახია 12.06.2021

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის მიხედვით ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისთვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.¹¹

სსკ-ის აღნიშნული ჩანაწერით ფაქტიურად ირკვევა ანდერძით მემკვიდრეობის არსი რომლის მიხედვითაც პირს შეუძლია განსაზღვროს მემკვიდრეთა წრე როგორც მემკვიდრეთა წრიდანა ასევე მის გარეშე, იგი მემკვიდრის დასახელებაში შეზღუდული არა არის რაოდენობივად ანდერძში შეუძლია პირს სურვილისამებრ დაასახელოს რამდენიმე პირი ან ერთ ადამიანს უანდერძოს თავისი ქონება.

როგორც ვიცით, ანდერძით მემკვიდრეობისას, ქონება შესაძლოა მამკვიდრებლის მიერ გადაეცეს ისეთ პირს, რომელიც არ არის კანონით მემკვიდრეთა რიგიდან ან შესაძლებელია არის. ანდერძით მემკვიდრეებს განსაზღვრავს თავად მამკვიდრებელი, რომელიც, შესაძლოა იყოს გარეშე, მესამე პირი (მამკვიდრებლის მეგობარი, მეზობელი და ა.შ.)¹²

აღსანიშნავია, რომ ანდერძი წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის ნების გამოვლინებას თავისი ქონების იურიდიული ბედის შესახებ მისი სიკვდილის შემთხვევაში¹³ ანდერძის შედგენით მოანდერძის ნება გარკვეული მოქმედების შესრულებით მიმართულია სამართლებრივი შედეგის მიღწევისკენ.¹⁴

საინტერესოა საქართველოში არსებული ვითარება წლების წინაა ანდერძთან დაკავშირებით, უნდა ითქვას რომ ჯერ კიდევ ძველი მეფეები იყენებდნენ ადერძის ფორმას განსხვავებული სახით, აგრეთ სხვადასხვა ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰქონდა და აქვს ანდერძს.

როგორც უკვე აღვნიშნე ანდერძით მემკვიდრეობის საკითხი ჯერ კიდევ ძველი დროში იყო რეგულირებადი ამისთვის აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანდერძის

¹¹საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113>, ნანახია 18.03.2021

¹² თ. გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)

¹³ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 85

¹⁴ ეკატერინე ნინუა, ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება მართლმსაჯულება და კანონი, #1(40) 14, 129

შესახებ ნორმებს ვხვდებით უძველეს სამართლებრივ აქტებში, ერთ-ერთ ასეთ აქტს კაცობრიობის ისტორიაში წარმოადგენს ხამურაბის კანონები. აქვე უნდა ითქვას რომ ანდერძის მემკვიდრეობას იცნობს მუსლიმური სამართალიც „ყურანი“ აქაც რეგულირებადია აღნიშნული, კერძოდ რამდენიმე ფრაგმენტს უთმობს მას, მაგრამ აქაც ანდერძის თავისუფლების საზღვრები გარკვეულად შეზღუდულია და მემკვიდრეობის გაბატონებულ სახედ რჩება კანონისმიერი მემკვიდრეობა. უნდა ითქვას ისიც რომ რომაული ანდერძის თავისუფლების დონემდე არცერთი სხვა ხალხის სამართალი არ ამაღლებულა, რომის სამართალი მაინც რჩება ანდერძის თავისუფლების კლასიკურ ნიმუშად. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული ანდერძის კანონიერი სახე რომაულ- ბიზანტიურ სამართლის ნორმებს მიზღვეს და დღემდე მის პრინციპებზე დაყრდნობით არის რეგულირებადი.¹⁵

საინტერესოა, ანდერძის ნების თავისუფლების პრინციპი რომელიც დღემდე მოქმედებს სამოქალაქო სამართალში, ვფიქრობ იგი ერთერთი გამორჩეული ნაწილია ანდერძის შედგენისას, სწორედ ამით გამოირჩევა და ხასიათდება ანდერძი კანონით მემკვიდრეობისგან, ვინაიდან კანონით მემკვიდრეობის დროს კანონმდებელი კონკრეტულად გვიდგენს პირთა წრეს ვინც შეიძლება პირის გარდაცვალების შემდეგ გახდეს მემკვიდრე.

ანდერძის თავისუფლების აღნიშნული ხარისხი სათავეს ისტორიულ ეპოქაში იღება, ამ მხრივ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსაკუთრებით გამოირჩევა რომის სამართალი. იგი ანდერძის თავისუფლების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონების პერიოდიდან ანდერძით თავისუფლება იმდენად უსაზღვრო იყო, რომ მისი ყოველგვარი შეზღუდვა ბოროტებად ითვლებოდა. უფრო მეტიც, კანონისმიერი მემკვიდრეობასთან შედარებით უპირატესობა ანდერძით მემკვიდრეობას ენიჭება. ეს მაშინ, როცა მამკვიდრებლის ქონება მემკვიდრეზე ან კანონით უნდა გადასულიყო ან ანდერძის საფუძველზე. ორივე საფუძველის ერთდროულად გამოყენება შეუძლებელი იყო.

რომაული მემკვიდრეობის სამართალმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნის სამართალზე. მიუხედავად ამისა ბიზანტიური, ებრაული, გერმანული,

¹⁵ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 86-87

მუსლიმანური ან რუსულ სამართალში ანდერძის თავისუფლება გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. ნებისმიერი შეზღუდვა კანონისმიერი მემკვიდრეობისთვის უპირატესობის მინიჭებისკენ იხრებოდა. აქვე მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ საქართველოში ანდერძი ადრეფეოდალური პერიოდიდანაა ცნობილი, რაღატემა უნდა მაშინდელი ანდერძის მცირე ნაწილია ცნობილი. უმეტესად ისინი მეფეთა და დიდებულთა ნება-სურვილს გამოხატავდა ასეთ ანდერძში არა მარტო ქონებრივი, არამედ საქვეყნო და საოჯახო ურთიერთობების საკითხი იყო გადაწყვეტილი.¹⁶

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ადრეულ პერიოდში ძირითადად ყურადღება ეთმობოდა მეფეთა ანდერძს, რომელიც გამოხატავდა მათ ნებასურვილს, დღევანდელი ანდერძისგან განსხვავებით წინა საუკუნეებში ანდერძს არა მარტო ქონების დატოვების და განკარგვისთვის ტოვებდნენ არამედ საქვეყნო და საოჯახო საკითხებსაც წყვეტდნენ, დღევანდელ ანდერძს თუ შევადარებთ წინა საუკუნეების ანდერძს, უნდა გამოვყოთ შემდეგი გარემოებები, კერძოდ 21-საუკუნეში შედგენილი ანდერძი ეხება მამკვიდრებლის უფლებების გადასვლას მემკვიდრეზე ხოლო ისეთ საკითხებს როგორცა ქვეყნის ბედი, საოჯახო ურთიერთობების რეგულაცია და ასე შემდეგ ამ შემთხვევაში ანდერძით აღნიშნული აღარ რეგულირდება, რაც შეეხება თავისუფლების პრინციპს ამ პრინციპმა წლებს, საუკუნეებს გაუძლო და დღემდე ფაქტიურად უცვლელი სახით არის შემორჩენილი. მოცემული მსჯელობიდან ნათელი ხდება ანდერძის წარმომავლობა და მისი სახე ცვლილება წლებთან და საუკუნეებთან ერთად.

1.3 სამართლის სისტემა და ანდერძით მემკვიდრეობა

აღსანიშნავია რომ მემკვიდრეობა ხშირე შემთხვევაში სასამართლოს განსჯად საკითხს წარმოადგენს ვინაიდან პირის გარდაცვალების შემდგომ ხშირია დავები მემკვიდრეობის განაწილების საკითხზე ანდერძით მემკვიდრეობა იქნება ეს თუ კანონით მემკვიდრეობა, ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრეები თითქმის ყოველთვის სადაოოდ ხდიან ანდერძს და საანდერძო ქონებას, ვინაიდან ჩნდება ორი

¹⁶შენგელიარ./ შენგელიაე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სმართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2015, გვ 342

დაპირისპირებული მხარე ანდერძის შემთხვევაში, ერთის მხრივ პირები რომლებიც კანონით მემკვიდრეები შეიძლება ყოფილიყვნენ და მეორეს მხრივ პირები რომლებიც ანდერძში არიან მოხსენიებულნი.

მნიშვნელოვანი განმარტებები აქვს გაკეთებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მემკვიდრეობის უფლებაზე კერძოდ კი ანდერძით მემკვიდრეობის საკითხზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება სასამართლოს განმარტებები უკვე არსებული საკუთრების დაცვის კონსტიტუციური გარანტიის შინაარსსა და მოქმედების ფარგლებზე, ამავე დროს განსაზღვრულია ამ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციითვე დადგენილი ზღვარი. ხსენებულისგან განსხვავებით, საკუთრების შეძენის უფლება, საკუთრების კონკრეტულ ობიექტზე უფლების წარმოშობამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, რაც თავისი შინაარსით განსხვავდება მესაკუთრესა და საკუთრების უფლების ობიექტს შორის არსებული ურთიერთობისაგან.“¹⁷

მოცემულ გადაწყვეტილებაში გაანალიზებული საკუთრების შეძენის შესაძლებლობა, ადამიანის მისწრაფება საკუთრების შეძენისაკენ, მნიშვნელოვანი განმარტება იმის თაობაზე, რომ როდესაც ადამიანს საკუთრების შეძენის სამართლებივ გზებზე ხელი არ მიუწვდება, შემდგომ უკვე საკუთრების უფლების დაცვას აზრი არ ექნება. აქვე აღვინიშნავთ, რომ მემკვიდრეობასთან პირდაპირ კავშირშია საკუთრების შეძენის ფაქტიც.

ამავე გადაწყვეტილებაში ასევე განმარტებულია შემდეგი საკითხიც: „საკუთრების შეძენის უფლება გულისხმობს პიროვნების შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე. ადამიანის მისწრაფება საკუთრების მოპოვებისკენ, მისთვის დამახასიათებელ

¹⁷<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1494> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „გ. ხორგუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ნანახია 12.05.2021

ნორმალურ სოციალურ ქცევას წარმოადგენს. მისი ეს სწრაფვა პიროვნული თავისუფლების ერთგვარი გამოვლინებაა. საკუთრების შექმნის კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს ადამიანს, შექმნას მისი საკუთრება და ამის საფუძველზე უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა. ეს უფლება თავისთავად ვერ იქნება პირის მიერ სახელმწიფოსაგან გარკვეული მატერიალური სიკეთეების მოთხოვნის საფუძველი...“თუ საკუთრების შექმნის სამართლებრივ გზებზე ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ, ეს საკუთრების უფლების შემდგომ დაცვას გარკვეულწილად აზრს დაუკარგავს.“¹⁸

ამგვარად, კონსტიტუცია შესაძლებელია არ იცავდეს ადამიანის უფლებას, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს რაიმე ქონების მის საკუთრებაში გადაცემა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მემკვიდრეობის უფლების მეშვეობით საკუთრების უფლების შექმნაზე. ამის მიზეზი არის ის, რომ მემკვიდრეობა, როგორც საკუთრების შექმნის საშუალება პირდაპირ არის მოხსენიებული კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტში: „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“ კონსტიტუციის მე-19 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების (მათ შორის მემკვიდრეობის უფლების) შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესით.“ როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა ჰეიკე ქრონქვისტის საქმეში: „მემკვიდრეობა წარმოადგენს საკუთრების შექმნის ... ერთ-ერთ ფორმას. საკუთრების შექმნის უფლების მსგავსად, მემკვიდრეობით მიღების უფლებაც საკუთრების წარმოშობამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, შესაბამისად, ეს უფლებაც იცავს პირის შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე მემკვიდრეობის გზით. უფლება რეალიზებულად უნდა მივიჩნიოთ პირზე მემკვიდრეობის გზით საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან. ამის შემდგომ პიროვნების ქონება დაცულია საკუთრების თავისუფალი ფლობისა და განკარგვის კონსტიტუციური გარანტიით.“¹⁹

¹⁸<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1494> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „გ. ხორგუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ნანახია 12.05.2021

¹⁹<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1494> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „გ. ხორგუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ნანახია 12.05.2021

როგორც მოცემულ გადაწყვეტილებაში არის განმარტებული კონსტიტუციის მე-19-ე მუხლი პირდაპირ უთითებს იმ ფაქტზე რომ საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და შესაბამისად უზრუნველყოფილია, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი გამარტება აქვს გაკეთებული საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ნაწილში, რომ საკუთრების უფლების შექმნის მსგავსად, მემკვიდრეობის მიღების უფლებაც ანალოგიურად საკუთრების უფლების წარმოშობამდე არსებულ პროცესს წარმოადგენს, ეს განმარტება ძალიან მნიშვნელოვანი როგორც საკუთრების უფლების კუთხით, ისე ანდერძის მემკვიდრეობის კუთხითაც.

ამავე გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია: „მემკვიდრის უფლება, შეიძინოს შესაბამისი საკუთრება მემკვიდრეობის გზით, წარმოადგენს ძირითადი უფლების სახით რეგლამენტირებული თავისუფლების გარანტიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ამასთანავე, მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ასპექტს.

კონსტიტუციის მე-19 მუხლი ზღუდავს სახელმწიფოს იმით, რომ მემკვიდრეებელთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამორიცხოს კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიგებიდან, როდესაც არსებობს კანონით განსაზღვრული საჯარო ინტერესი.²⁰

ამავე გადაწყვეტილებით წარმოჩენილია ის ფაქტი რომ კონსტიტუციის მე-19-ე მუხლი გარკვეულ წილად ზღუდავს სახელმწიფოს თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადად უნდა ითქვას რომ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არსებითად დიდი მნიშვნელობის მქონეა მემკვიდრეობით სამართალში, კონკრეტულად კი ანდერძის მემკვიდრეობისას.

²⁰<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1494> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „გ. ხორგუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ნანახია 12.05.2021

თავი II. ანდერძით მემკვიდრეობა საქართველოს კანონმდებლობაში

2.1 იურიდიული პირი და მემკვიდრეობა

არა მარტო ფიზიკურ პირებზე არამედ იურიდიულ პირებზეც ვრცელდება მემკვიდრეობითი სამართალი, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1308-ე მუხლი არეგულირებს იურიდიული პირის ანდერძით მემკვიდრეობის საკითხს და განმარტავს შემდეგს: ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მისაღებად მოწვეული იქნება იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის.²¹

უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრედ ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიული პირებიც გამოდიან, არ აქვს მნიშვნელობა კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობათა სუბიექტები იქნებიან ისინი, კომერციული თუ არაკომერციული ხასიათისა. უფრო მეტიც ქონების მემკვიდრეობით გადაეცემა შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოსთვის, ავტონომიური რესპუბლიკისა და ხელისუფლების მუნიციპალურ სტრუქტურებისთვის. იურიდიული პირები მემკვიდრეებად უმეტესწილად გამოდიან ანდერძით მემკვიდრეობის დროს. კანონით მემკვიდრეობისას, გამონაკლის შემთხვევაში, როცა გარდაცვლილის ქონება ბათილად არის ცნობილი, იგი შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივ წარმონაქმნს.²²

იურიდიული პირები ყველაზე მნიშვნელოვან როლს სწორედ ანდერძის მემკვიდრეობის დროს თამაშობენ, კერძოდ კი აღსანიშნავია რომ იურიდიული პირი ისევე როგორც ფიზიკური პირი შეიძლება გახდეს მემკვიდრე თუ ანდერძის შექმნის დროს ეს იურიდიული პირი უკვე შექმნილი იყო, რაც შეეხება კანონით მემკვიდრეებს უნდა ითქვას რომ კანონმდებელი არ მოიხსენიებს კანონით მემკვიდრეთა წრეში იურიდიულ პირს გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რომელიც როგორც ზემოთ ვახსენეთ ეხება გარდაცვლილის ქონების ბათილად ცნობის საკითხს.

²¹სამოქალაქო სამართლის კოდექსი

²²რ.შენგელია, ე.შენგელია- საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ.317-318

იურიდიული პირისთვის ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე ქონების გადასაცემად აუცილებელია, მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისთვის იურიდიული პირი შექმნილი იყოს კანონით დადგენილი წესით. არ შეიძლება ანდერძში მიუთითოს იმ იურიდიული პირისთვის ქონების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ, რომელიც შეიქმნება მომავალში, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. თუ ასეთი ანდერძი მაინც შედგა, იგი აუცილებლად უნდა გაბათილებული.²³

იურიდიული პირის საკითხი მემკვიდრეობით სამართალში მნიშვნელოვანია თუმცა ისეთ ფართო სახეს ვერ იღებს, როგორც ფიზიკური პირი და მემკვიდრეობა. როგორც უკვე ითქვა იგი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კანონმდებელი არ უშვებს კანონით მემკვიდრეთა წრეში იურიდიულ პირს, თუმცა ვფიქრობთ სასურველი იქნება იურიდიული პირის მემკვიდრეობით სამართალში უფრო ფართო მამტაბით ჩართვა.

2.2 უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტი

სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს არა მარტო იმ პირთა წრეს, რომებსაც გააჩნიათ მემკვიდრეობის უფლება, არამედ იმათაც, ვისაც შეიძლება ჩამოერთვას იგი. ჩამორთმევა გულისხმობს მემკვიდრედ გახდომის შესაძლებლობის აკრძალვას. ასეთ პირებს, უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება უღირსი მემკვიდრე. სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის მიხედვით, არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი, ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ან/და ჩაიდინა განზრახ დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ასეთი საქციელი თუ დადასტურებული იქნა სასამართლოს მიერ, პირი უნდა ჩაითვალოს უღირს მემკვიდრედ. ამ მუხლის პირველ ნახევარში ლაპარაკია უღირს მემკვიდრის მიერ ჩადენილ სხვადასხვა მოქმედებაზე, რომლებმაც სამემკვიდრეო შეღავათები და უპირატესობები შექმნა თავისი ან ახლობელი პირების

²³რ.შენგელია, ე.შენგელია- საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ.318

მიმართ. ეს ეხება მემკვიდრეობის ორივე სახეს. ამასთან სასამართლომ უნდა დაადასტუროს, რომ იგი მოქმედებდა განზრახი ბრალით, თუ პირი გაუფრთხილებელი მოქმედებით აღწევს აღნიშნულ შედეგებს, მას არ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება და მისი აღიარება უღირს მემკვიდრედ არ შიძლება.²⁴

უღირსი მემკვიდრეობა სამოქალაქო კანონმდებლობაში ანდერძის დაცვის ბერკეტად შეიძლება მივიჩნიოდ ვინაიდან, მოანდერძეს თავის სიცოცხლეშივე შეუძლია დაასახელოს პირი უღირს მემკვიდრედ და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომაც შიძლება იქნას ესა თუ ის პირი აღიარებული უღირს მემკვიდრედ გარკვეული საფუძვლებიდან გამომდინარე. აქვე აღსანიშნავია, რომ უღირსი მემკვიდრეობის საკითხს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ვინაიდან შეიძლება ანდერძი გააყალობს, ასეთმა პირმა ან მოახდინოს სხვაგვარი ხელშეშლა მამკვიდრებლისთვის და ა.შ. აგრეთვე არ მისცეს საშუალება მამკვიდრებელს ანდერძში გამოხატოს თავისი ნება-სურვილი თავისუფლად.

რაც შეეხება უღირს მემკვიდრის დაშვების წინაპირობებს წარმოდგენილია შემდეგი სახით, პირის მიერ განხორციელებული ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და განზრახი, პირის მიერ ჩადენილი ქმედება რომელიც განხორციელდა გაუფრთხილებლობით არ შეიძლება უღირსი მემკვიდრის დაშვების წინაპირობად იქცეს, აგრეთვე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის გარემოება რომ 14 წლამდე პირის და მხარდამჭერის მიმღების მერ განხორციელებული ქმედება არ ითვლება განზრახ ქმედებად და ამის შესაბამისად მემკვიდრეობის ჩამორთმევა ასეთ პირებზე არ ხორციელდება, აქვე იზადება კითხვა ასეთი პირები შეიძლება თუ არა გამოყენებულნი იქნენ სხვა პირების მიერ ანდერძის შესაცვლელად ან ხელის შემშლელ პირებად ?!

როგორც უკვე აღვნიშნეთ ქმედება უნდა იყოს განზრახი. მემკვიდრის გაუფრთხილებელი ქმედება, რომელმაც გამოიწვია მამკვიდრებლის სიკვდილი, არ

²⁴რ.შენგელია, ე.შენგელია- საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ.319

წარმოადგენს მემკვიდრეობის მიღების დაბრკოლებას.²⁵ უღირს მემკვიდრეებად არ შეიძლება აღიარებულ იქნენ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედება შეურაცხად მდგომარეობაში, რადგან მათ არ შეეძლოთ გაეცნობიერებინათ თავისი ქმედება და ეხელმძღვანელათ მისთვის. ასევე, 14 წლამდე არასრულწლოვნებისა და მხარდაჭერის მიმღებ (ფარგლების გათვალისწინებით) პირთა ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობად და ეს შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ მითითებულმა პირებმა, მართალია, ჩაიდინეს მორალურად გასაკიცხი საქციელი, მაგრამ არ ითვლებიან დამნაშავეებად.²⁶

ქმედებები უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, უმოქმედობაც შეიძლება ჩაითვალოს უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობად.²⁷ უღირს მემკვიდრედ ცნობაზე არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამთავრების ფაქტი, რასაც მოწმობს ფორმულირება - „ხელი შეუწყვეს ან შეეცადნენ, ხელი შეეწყოთ“ პირის უღირს მემკვიდრედ ცნობისათვის. მოქმედების მოტივს მნიშვნელობა არ აქვს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებებმა ხელი უნდა შეუწყოს, ე.ი. გამოიწვიოს უღირსი მემკვიდრის ან სხვა პირების მემკვიდრეობის მისაღებად მოწვევა, ასევე, მისი ან სხვა პირების კუთვნილი წილების გაზრდა.^{28 29}

აქ მნიშვნელოვანია ის ფატობრივი გარემოება რომ უმოქმედობამაც შეიძლება გამოიწვიოს პირის უღირს მემკვიდრედ აღიარება, იმ შემთხვევაში თუ პირის მიზანი იყო მამკვიდრებლისთვის ხელის შეშლა და ამ პირის ქმედებაში იკვეთებოდა მართლწინააღმდეგობა.

უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობად სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს მემკვიდრის მოქმედებათა მიმართულებას – მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების ან

²⁵ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, 26

²⁶ Сергеев А. П., Толстой Ю. К., Гражданское право, М., 2006, 641.

²⁷ იქვე, 640.

²⁸ <file:///D:/2019-1-LAWJOUR-GEO.pdf> თსუ იურიდიული ფაკულტეტი N1, 2019, სამართლის ჟურნალი, დ. ბერეკაშვილი, „უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობითსამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ“ გვ.22-23, ნანახია 09.06.2021

²⁹ Сергеев А. П., Толстой Ю. К., Елисеев И. В., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья, М., 2002, 23.

ანდერძიგი ამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. უღირსმა მემკვიდრემ უნდა გააცნობიეროს თავისი მოქმედების მიმართულება განსაზღვრული შედეგის მიმართ. მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის კონფლიქტი და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ აფუძნებს მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობას.³⁰ საქმე³¹, რომელშიც მემკვიდრეობის ჩამორთმევის კონკრეტულ დავაზე სასამართლომ განმარტა, რომ მემკვიდრე, რომელსაც მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე წლების განმავლობაში არ ჰქონდა მასთან ურთიერთობა, უკანასკნელი ნების განხორციელებაში ხელს მას ვერ შეუშლიდა. ამდენად, მამკვიდრებელმა თავისუფლად განახორციელა უკანასკნელი ნება და შეადგინა ანდერძი, რომლითაც ქონება დაუტოვა მოპასუხე მემკვიდრეს. მართალია, დადგინდა მემკვიდრის მხრიდან მამკვიდრებლისა და მისი გვარის „ცუდად მოხსენიება“, თუმცა, სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული, საზოგადოდ, მიუღებელი და უღირსი საქციელია, ეს მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ.³² ხოლო თუ მამკვიდრებელს ანდერძი საერთოდ არ შეუდგენია, მემკვიდრე ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგო მოქმედებას საერთოდ ვერ ჩაიდენდა. მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის არსებული კონფლიქტი არ წარმოადგენს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის წინაპირობა³³ და განეკუთვნება სხვა სამართლებრივ სივრცეს.³⁴ მემკვიდრის მიერ ჩადენილი ქურდობა მამკვიდრებლის ქონებაზე, მართალია, არ არის მიმართული სამკვიდროში მისი წილის გაზრდისკენ, რაც პირდაპირი მნიშვნელობით არ არის უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობა, თუმცა არის ამორალური საქციელი მიმართული

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-201-521-0

³¹ იქვე

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე: № ას-786-840-2011

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება საქმეზე: № ას-922-869-2010

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე: ას-347-330-2013,

მამკვიდრებლის მიმართ, რამაც გამოიწვია მემკვიდრისათვის სარგებლის მიღება ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში.³⁵

მემკვიდრეობითი სამართლის კუთხით კერძოდ კი უღირს მემკვიდრეობასთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა უშვებს ორ ძირითად მიმართულებას, პირველი,- ეს არის მემკვიდრეობის მიღების სამართლებრივი გზები და მეორე, მემკვიდრეობის ჩამორთმევა მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას, ორივე საკითხი ძალზედ რთული და საინტერესოა.

2.3 უღირსი მემკვიდრეობა და ანდერძის აღსრულება

აღვნიშნავთ, რომ სსკ-ის 1310-ე მუხლი განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებს, სადაც წარმოდგენილია ვინ შეიძლება იყოს უღირსი მემკვიდრე.

რაც შეეხება უღირსი მემკვიდრეობის საკითხს და ანდერძის აღსრულებას მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლო გადაწყვეტილებები სადაც მითითებულია თუ როგორ უნდა მოხდეს პირის უღირს მემკვიდრედ აღიარება იმ შემთხვევაში თუ პირმა მამკვიდრებლის მიმართ ჩაიდინა განზრახ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება მაგ. მოკლა მამკვიდრებელი.

„ქართული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ნათელი ხდება სრული თანხმობის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირს, რომელმაც განზრახ მოკლა მამკვიდრებელი, უფლება არა აქვს ისარგებლოს აღნიშნული შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ანდერძით თუ კანონით მემკვიდრეობით, აქ ანალოგიით (სსკ-ისმე-5 მუხლი) უნდა დავეყრდნოთ სსკ-ის 98-ე II მუხლს, რომლის თანახმადაც, თუ პირობის დადგომას არა კეთილისინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება. ეს ნორმა, თავის მხრივ, გახლავთ კეთილისინდისიერების ზოგადი პრინციპის გამოხატულება,

³⁵<file:///D:/2019-1-LAWJOUR-GEO.pdf> თსუ იურიდიული ფაკულტეტი N1, 2019, სამართლის ჟურნალი, დ. ბერეკაშვილი, „უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობითსამართლებრივი სანქციები სავა ლდებულო წილის მემკვიდრის მიმართ“ გვ.24, ნანახია 09.06.2021

რომელიც ვრცელდება მთელ სამოქალაქო სამართალზე და ჩამოყალიბებულია სსკ-ის 361-ე II მუხლში. ამ ნორმით იკრძალება, მაგალითად, საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან უშუალო სამართლებრივი სარგებლის მიღება. აქ საქმე ეხება რომის სამართლის პრინციპს *exceptio doli specialis*, რომელსაც ანგლოამერიკულ სამართალში ეფუძნება *unclean hands*-ის (არასუფთახელები) შეცვლა³⁶.

ისეთ შემთხვევაში, თუკი სახეზე გვაქვს დაუშთავრებელი დანაშაული, მკვლელობის მცდელობა, მოსამართლეების უმრავლესობა ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ მამკვიდრებელს უნდა ჰქონდეს უფლება, აღძრას აღიარებითი სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად). ამ მუხლიდან ცალსახად გამომდინარეობს მამკვიდრებლის უფლება, აღძრას აღიარებითი სარჩელი სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის თაობაზე. ეს ნორმები გამოყენებულ უნდა იქნას ანალოგიით რათა მამკვიდრებელს შეემლოს უღირსი მემკვიდრისათვის სასამართლო წესით სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა, მაგრამ არა მემკვიდრეობის ჩამორთმევა. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევას თან სდევდეს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.^{37 38}

„მამკვიდრებელს კანონის ნორმების შესაბამისად არა აქვს შესაძლებლობა, თავის სიცოცხლეშივე დააყენოს საკითხი პირის სასამართლოს გზით უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე. აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრება ეწინააღმდეგება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, კანონის სისტემას, კანონის არსს და მიზანს. მსგავსი

³⁶3. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით(აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 516

³⁷3. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 517.

³⁸ <https://openscience.ge/bitstream/1/1718/1/Mariam%20Nensadze%20Samagistro.pdf> სამაგისტრო ნაშრომი მარიამ ნემსაძე, „სავალდებულო წილთან დაკავშირებული პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში“, გვ.37, (2.2. უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.) 2019 წ, ნანახია 21.05.2021

სარჩელის აღძვრისათვის აუცილებლობაც არ არსებობს“³⁹ სწორედ ასეთი განმარტებები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოს მხრიდან.

უღირსი მემკვიდრეობის ფაქტი და ანდერძით აღსრულება ერთერთ პრობლემას წარმოადგენს დღემდე როგორც საზოგადოებაში, ასევე სასამართლოში ვინაიდან არსებობს შემთხვევა, როდესაც მოანდერძე ვერ ასწრებს უღირსი მემკვიდრის დასახელებას, ან კიდევ ანდერძის შეცვლას, რადგან მამკვიდრებელი გარდაიცვალა. რთულია იმის დადგენა როგორ უნდა მოხდეს ამ ფაქტის რეგულირება ან ამგვარი ანდერძის აღსრულება?

ერთის მხრივ დგება საკითხი ანდერძის ჩანაწერისა და მეორეს მხრივ გვაქვს ფაქტი რისი დაადასტურებაც შეუძლებელია რა თქმა უნდა უღირსი მემკვიდრეობა, კანონმდებლობა კერძოდ კი სსკ-ის 1310-ე მუხლი მხოლოდ ზედაპირულად განმარტავს თუ ვინ შეიძლება იყოს უღირსი მემკვიდრე. თუმცა პრაქტიკის კუთხით ძალიან რთული დასადგენია უღირსი მემკვიდრეობის ფაქტი ანდერძის არსებობის შემთხვევაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ კანონით მემკვიდრეც და ანდერძით მემკვიდრეც მხოლოდ ის პირები არიან რომლებიც შემდგომში უღირს მემკვიდრედ სახელდებათ ასეთ შემთხვევაში ფაქტიურად გარდაცვლილი პირის ანდერძი არ აღსრულდება სასამართლოს კი გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ სწორედ ეს პირები არიან ვინც ხელს უშლიდა ანდერძის შედგენაში მოანდერძეს ან ცუდად ექცეოდნენ მას, ამ ვითარებაში ჩნდება მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილი პირის ქონება იმას ვინც ანდერძშია მოხსენიებული რომელიც უღირს მემკვიდრედ არის აღიარებული თუ სახელმწიფოს?!

თუ სახელმწიფოს დარჩება ანდერძში არსებული ქონება ამ შემთხვევაში აზრი ეკარგება ანდერძის არსებობას ხოლო თუ უღირს მემკვიდრეს დარჩება გარდაცვლილი პირის ქონება ამ შემთხვევაში აზრს კარგავს სსკ-ის 1310-ე მუხლი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლს ჭირდება დამატებითი, უფრო დეტალური ნორმის

³⁹3. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით(აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 520

ჩამოყალიბება ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ასეთი ბუნდოვანებები აუცილებელია აღმოიფხვრას.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას მნიშვნელოვანია სსკ-ის 1310-ე მუხლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაანალიზება კერძოთ ასეთი განმარტება:

გ. დამ. ჯ-ების სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს რა მოპასუხეთა უღირსმემკვიდრედ ცნობა, საოლქო სასამართლომ მხარეთა შორის არსებულ დავას სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა და დაუშვებლად მიიჩნია სსკ-ის 1310-ემუხლის გამოყენება. აღნიშნული ნორმით არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ან ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უღირს მემკვიდრედ პირის ცნობა ხდება მაშინ, როდესაც დადგინდება, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხელს უშლიდა მამკვიდრებლის ნამდვილი ნების გამოვლენას. სსკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილით კი მამკვიდრებლად მიიჩნევა გარდაცვლილი პირი, რომლის ქონებაც სხვა პირებზე კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობით გადადის. ამავე კოდექსის 1312-ე მუხლის თანახმად, უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები თვითონვე წარმოადგენენ სავარაუდო მამკვიდრებელს

და უღირს მემკვიდრედ ცნობას მათთვის არავითარი ქონებრივი შედეგი არ მოჰყვება.⁴⁰

ზემოთ აღნიშნული განმარტებებით და სასამართლო მაგალითებით ნათლად გამოჩნდა არსებული მოსაზრების ძირითადი არსი და გამოიკვეთა პრობლემა რომელიც უკავშირდება ანდერძის აღსრულებას და უღირს მემკვიდრეობას, ვფიქრობთ მნიშვნელოვანი და საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება უღირსი მემკვიდრეობის ნაწილში და შემდგომ გარკვეული მუხლების დამატება უფრო მეტი სიზუსტისთვის და თვალსაჩინოებისთვის.

⁴⁰http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf ალექო ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, მემკვიდრეობითი სამართალი, (2000-2013), გვ.329 ნანახია 01.06.2021

თავი III. ანდერძის აღსრულება

3.1 ანდერძის აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები

ანდერძით მემკვიდრეობის დროს ფაქტიურად ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ანდერძის აღსრულება წარმოადგენს, ვინაიდან ანდერძის არსებობა აზრს კარგავს თუ არ აღსრულდება იგი, ანუ ანდერძის მთელი რიგი პროცედურები შედგენა, გაანალიზება და შესრულება სააბოლოოდ მის აღსრულებაზეა ორიენტირებული.

ანდერძით აღსრულების საკითხი, როგორც ანდერძი ჯერ კიდევ ძველი წლებიდან მოდინარეობდა. ანდერძით აღსრულებას ძველ ქართულ სამართალში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ანდერძის დამტოვებელი თავისი ანდერძის აღსრულებლად, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ პირს ასახელებდა. ასეთად მოანდერძეს შეეძლო აერჩია მემკვიდრე ან სხვა პირი, ძველ ისტორიას თუ გადავხედავთ აღსანიშნავია რომ ვახტანგ გორგასალს ოსებზე გალაშქრების წინ დაწერილი ანდერძის აღსრულებას თავის დედას ავალებს, დავით აღმაშენებლის ანდერძის აღსრულებლად გამოდის მეფე დემეტრე, რომელიც ამავე დროს მემკვიდრეცაა. ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი ანდერძის აღსრულებლად თავის ძმას ივანესა და შვილს ბეგას ნიშნავს, ძველ ანდერძებში ხაზგასმულია ის რომ აღმასრულებელმა ყველა განკარგულება უნდა აღასრულოს ისე როგორც დაიბარა მოანდერძემ. მოანდერძის ნება ყოველთვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო აღმასრულებლისთვის. თუმცა ზოგჯერ კეთილი სურვილებით ხსნიდნენ მისი დარღვევის შესაძლებლობებს.⁴¹

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრ წელს ითვლის ანდერძის აღსრულების საკითხი. დღევანდელ ანდერძის აღსრულების რეალობასთან თუ გავავლებთ პარალელს მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ როგორც ადრე ახლაც შეიძლება ანდერძში მამკვიდრებელმა მოიხსენიოს ანდერძის აღმასრულებელი პირი, ადრეულ პერიოდში ჯერ კიდევ მეფეების დროს ანალოგიურად იქცეოდნენ ისინიც, ტოვებდნენ ანდერძის აღმასრულებელ პირს და ხშირ შემთხვევაში იხსენიებდნენ ანდერძში. ადრეულ

⁴¹რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015 წელი, გვ.391-392

პერიოდში იყო შემთხვევები, რომ ანდერძს სრულყოფილად არ ასრულებდნენ და ამ ყველაფერს ერთად განმარტებას უძებნიდნენ, ეს განმარტება კი იყო ასეთი,- კეთილი სურვილების შემთხვევაში შესაძლებელია ანდერძის დარღვევა, რაც შეეხება დღევანდელ ვითარებს დღეს დღეობით ანდერძის აღმასრულებელი ვალდებულია ზუსტად შეასრულოს ანდერძი.

იყო პერიოდი რა დროსაც ძველი ქართულ სამართალში ანდერძის შედგენისას მოანდერძე აღმასრულებლისგან კატეგორიულად მოითხოვდა მის ზუსტ შესრულებას და უმნიშვნელო გადახვევასაც კრძალავდა. მოანდერძე ითხოვდა ანდერძის დაცვას არა მარტო აღმასრულებლისგან არამედ ყველასგან ვისაც კი რაიმე შემხებლობა ექნებოდა მათთან. მოანდერძე წყევლა-კრულვას უთვლიდა მათ, ვინც მათ ანდერძს დაარღვევდა. წყევლა-კრულვასა და ანათემაზე გადაცემას სოციალური დანიშნულება ჰქონდა. ხალხში იყო იმის რწმენა რომ წყევლას შეეძლო ფიცისა და ანდერძის გამტეხი პირისთვის ცუდი რამ შეემთხვია. წყევლა-კრულვის გვერდით ანდერძებში იმათ დალოცვაც იყო აღნიშნული, ვინც ანდერძს მოანდერძის ნების შესაბამისად შესრულებდა.⁴²

მოცემულ შემთხვევაში იმ პერიოდის ხალხს მხოლოდ ამგავრი „დაშინების“ ფორმით შეეძლოთ ანდერძის აღსრულების სრულყოფილი სახით აღსრულება.

დღესდღეობით ანდერძის აღსრულების საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1410-1420-ე მუხლებით და აქაც როგორც სხვა სამემკვიდრეო სამართლის ნაწილში გვაქვს ხარვეზები, კერძოდ კი მთელი ანდერძით მემკვიდრეობა დაყრდნობილია მის აღსრულებაზე, სადაც ვხვდებით ჩანაწერებს რითიც ფაქტიურად შეიძლება შეიცვალოს ან კიდევ გაუქმდეს ანდერძი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, რაც სამართლებრივად გამართლებულია მაგრამ არა სწორად არის ნამსჯელი და გაანალიზებული. კერძოდ ამის მაგალითს წარმოადგენს უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტი.

ანდერძის შედგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოანდერძის ნების სრულად განხორციელებას. მთავარია ის რომ რაც ანდერძში არის მითითებული

⁴²რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015 წელი, გვ.392

შესრულებული იქნეს სათანადო დონეზე, კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ მცნებას მემკვიდრეობით სამართალში ეწოდება ანდერძის აღსრულება.⁴³

ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს რომ ხშირ შემთხვევაში მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ანდერძის აღსრულება ვერ ხერხდება ან შეუძლებელია ვინაიდან რაიმე პირობაზეა დამოკიდებული ან/და ერთადერთი მემკვიდრე უღირს მემკვიდრედ არის აღიარებული სასამართლოს მხრიდან ან შეიძლება რომელიმე არა კეთილსინდისიერმა მხარემ ეჭვქვეშ დააყენოს ანდერძის ნამდვილობა და მოითხოვოს მისი ბათილობა.

რაც შეეხება ანდერძის აღსრულების სუბიექტებს მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძის აღსრულება თანაბრად ევალებათ ანდერძით მემკვიდრეებს, თუ ანდერძში არ არსებობს მითითება ანდერძის აღმასრულებლის ვინაობის შესახებ. თუმცა ანდერძით მემკვიდრეებს არ ეკრძალებათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ანდერძის აღსრულება მიანდონ ერთ-ერთ მემკვიდრეს ან სხვა პირს მისივე წერილობითი თანხმობით. აღნიშნულმა ასახვა უნდა პოვოს როგორც ანდერძში ასევე ანდერძზე დართულ განცხადებაში.⁴⁴

აქ განმარტებული გვაქვს ის საკითხი თუ ვინ უნდა აღასრულოს ანდერძი და როგორ, ვის შეიძლება მიენდოს ანდერძის აღსრულება და ა.შ რაც მთავარია აღსრულების პროცესში უპირველეს ყოვლისა დაცული უნდა იყოს მამკვიდრებლის ნება, ყოველი ანდერძი რომლის აღსრულების საკითხიც დგება უნდა იყოს აღსრულებული კეთილსინდისიერების ფარგლებში.

3.2 ანდერძის უპირატესობა და აღსრულება

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა რამდენიმე ანდერძის შემთხვევაში თუ რომელ ანდერძს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და რომელი უნდა აღსრულდეს, როგორც ჩვენთვის ცნობილია კანონმდებლობა იცნობს ანდერძის რამდენიმე სახეს და ამ

⁴³ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 149

⁴⁴ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 149

ნაწილში არ ზღუდავს მამკვიდრებელს, რათქმაუნდა ანდერძის წერილობითი ფორმა განიხილება მხოლოდ.

თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ანდერძის მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს, ამდენად ეს ფორმა იმდენად მრავალი კუთხითაა წარმოდგენილი რომ ტრადიციული ზეპირი ანდერძის საჭიროებას აშკარად გამორიცხავს. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის მიხედვით, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ასეთი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. სავალდებულო არ არის ყველა ანდერძის დადასტურება. კანონი არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ანდერძი ნოტარიულად და როდის არის ამის გაკეთება საჭირო. ამ საკითხს წყვეტს თვითონ მოანდერძე. სანოტარო ფორმა კი მოითხოვს იმას, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული იქნეს ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ.⁴⁵

რაც შეეხება ნოტარიუსის მიერ შედგენილ ანდერძს აქაც კანონმდებელი გვთავაზობს სხვადასხვა ფორმებს, რაც მნიშვნელოვანია მოანდერძისთვის სწორედ განსაზღვროს თუ რა სახის ანდერძის შედგენა სურს მას და რა ფორმით, ანდერძის შედგენისას მნიშვნელოვანია, რომ მამკვიდრებელმა იფიქროს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მისი გარდაცვალების შემდგომ აღსასრულებლად რომლის ანდერძი უფრო ხელსაყრელი იქნება და რომელს მიენიჭება უპირატესობა.

სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი შეიძლება ორნაირად შედგეს ერთი როცა ანდერძს დამოუკიდებლად ადგენს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი და მეორე როცა ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი ორი მოწმის თანდასწრებით.⁴⁶

ერთ-ერთი მინიშვნელოვანი სიახლე რაც ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა, ანდერძთან დაკავშირებით არის ის, რომ ანდერძის შედგენა

⁴⁵რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015 წელი, გვ.356

⁴⁶რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015 წელი, გვ.357

დასაშვებია ნოტარიულად დადასტურების გარეშე. ანდერძს რომლის შედგენაც ხდება ნოტარიუსის მონაწილეობის გარეშე კანონი მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს უყენებს - ანდერძი მოანდერძემ თავის ხელით უნდა დაწეროს და ცხადია ხელი უნდა მოაწეროს. ანდერძი, რომელიც თავის ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა სრული იურიდიული ძალის მქონეა მიუხედავად იმისა რომ არ არის დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ასეთი ანდერძი როგორც წესი ინახება მოანდერძესთან და მას შინაურულ ანდერძს უწოდებენ.⁴⁷

მიუხედავად იმისა რომ ქართული სამართალი ითვალისწინებს ამგვარ სიახლეს, რაც მამკვიდრებელს უფრო მეტი არჩევანის შესაძლებლობას აძლევს მას უკავშირდება ბევრი ხარვეზიც ვინაიდან შინაურულ ანდერძს ხშირ შემთხვევაში არ აღიარებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობა ასევე უფრო მეტ კითხვას და ეჭვს ბადებს, ვიდრე ნოტარიულად დამოწმებული ანდერძი, ამგვარი სახით შედგენილი ანდერძი როგორიცაა შინაურული ანდერძი თითქმის ყოველთვის განხილვის საგანი ხდება.

როცა ანდერძი მოწმეთა მიერ დადასტურებას მოითხოვს, არ არის სავალდებულო რომ მოწმეები გაეცნონ მის შინაარსს, რამდენადაც მოწმეთა დასწრება პირადად მოანდერძის მიერ ანდერძის შედგენის ფაქტის დასადასტურებლად არის საჭირო და არა ანდერძის შინაარსის გასარკვევად; თუმცა არც ის არის გამორიცხული. რომ მოწმეები ანდერძის შინაარსს გაეცნონ. ეს მოანდერძის ნებაზეა დამოკიდებული, თუ მას არ სურს რომ მოწმეებმა იცოდნენ ანდერძის შინაარსი მაშინ ისინი დაადასტურებენ ანდერძს მისი შინაარსის გაუცნობლად.(ასეთ ანდერძს დახურული ანდერძი ეწოდება). მთავარია რომ მოწმეები დაესწრონ ანდერძის შედგენას, ანდერძის დადასტურებისას მითითებული უნდა იქნეს რომ მოწმეები ანდერძის შინაარსს არ გაცნობიან. ⁴⁸

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ კი მოწმეებზე, შესაძლებელია სწორედ მოწმეების მიერ მოხდეს ანდერძის გაყალბება, შეცვლა, ვინაიდან შინაურული ანდერძი მეტ ნაკლებად მაინც ფორმა დაუცველად არის მიჩნეული, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ შემდგომში საეჭვოდ იქნას

⁴⁷საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000 წელი, გვ.419

⁴⁸საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000 წელი, გვ.421-422

მიჩნეული. ჩვენი შეფასებით მამკვიდრელის ნების სრულყოფილად განსახორციელებლად ნოტარიულად დამოწმებულ ანდერძს ენიჭება უპირატესობა, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავ სასამართლოში გასაჩივრებული ნოტარიულად დამოწმებული ანდერძი უმეტეს შემთხვევაში ძალაში რჩება თუ რაღა თქმა უნდა არ გვაქვს რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან საქმე.

ანდერძის ნამდვილობისთვის კანონი ერთ-ერთ პირობად მიუთითებს მისი შედგენის თარიღზე. აღნიშნული ეხება შინაურულ ანდერძსაც. არ არის გამორიცხული რომ მოანდერძის მიერ შედგენილი იქნეს რამდენიმე შინაურული ანდერძი და მათზე მიუთითებული არ იქნეს თარიღი. ასეთ შემთხვევაში თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.⁴⁹

ანდერძის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ თარიღია, გარკვეულ წილად მასზეა დამოკიდებული ანდერძის აღსრულების ბედი, და ის ფაქტი თუ რომელი ანდერძი უნდა აღსრულდეს უპირველეს ყოვლისა, კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა ანდერძში თარიღის არსებობის მნიშვნელობა.

3.3 საქართველოში არსებული მდგომარეობა ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებით

საქართველოში არსებული მდგომარეობა ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სახით წარმოდგენილი, როგორც წესი ანდერძის აღსრულება ევალებათ ანდერძში მოხსენიებულ მემკვიდრეებს. აგრეთვე კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ ანდერძში შეიძლება მოხსენიებული იყოს ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე, რომლებიც შეიძლება იყვნენ ანდერძის აღმასრულებლები. აგრეთვე შესაძლებელი ასეთი რამ არ მიუთითოს მამკვიდრებელმა და ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მემკვიდრეს მიენდობა აღსრულების საკითხი, სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იმ ფაქტსაც, რომ შესაძლებელია აღსრულების პროცედურა მემკვიდრეებმა მიანდონ სრულიად სხვა პირს რაღა თქმაუნდა ერთობლივი

⁴⁹ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 117

შეთანხმების საფუძველზე. თუ ანდერძში დასახელებული არ არის კონკრეტული პირი ანდერძის აღმასრულებლად და ვერც მემკვიდრეები შეთანხმდნენ თუ ვინ უნდა იყოს აღმასრულებელი მოცემული ვითარებაში ყველა მემკვიდრეს თანაბრად ევალება აღსრულების პროცედურაში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1413-ე მუხლის მიხედვით მოანდერძეს შეუძლია ანდერძის აღმასრულებლის დანიშვნა დაავალოს მესამე პირს, რომელმაც სამკვიდროს გახსნისას დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს ანდერძის აღმასრულებელი და შეატყობინოს ამის შესახებ მემკვიდრეებს, მას შეუძლია უარი თქვას ამ დავალების შესრულებაზე, რაზედაც ასევე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მემკვიდრეებს.⁵⁰

სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი მიუთითებს აღმასრულებლის არსებობაზე და მისი დანიშვნის შესაძლებლობებზე, ერთერთი ყველაზე საპასუხისმგებლო საკითხი სწორედ ანდერძის აღმასრულებლობაა, რომელსაც კანონმდებელი შესაბამისი წესების დაცვით არეგულირებს.

სამკვიდროს გახსნის მომენტიდან მემკვიდრეობის მიღებამდე სამკვიდრო ქონებას მეპატრონე არ ჰყავს, მისი ადრინდელი მფლობელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამოვიდა, ხოლო ახალი ჯერ არ შესულა. ამიტომ აუცილებელია სამკვიდრო მასის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება. ასეთი ფუნქციის შესრულება ევალება ანდერძის აღმასრულებელს. იგი მოვალეა სამკვიდროს გახსნის მომენტიდანვე შეუდგეს სამკვიდროს დაცვას და მართვას. დაცვაში შედის მისი მოვლა-პატრონობა, დალუპვის, დატაცებისა და გაფუჭების თავიდან აცილებისთვის ზრუნვა. მართვაში კი იგულისხმება გადასახადების გადახდა, გაქირავებული ქონების საფასურის მიღება, მამკვიდრებლის მოვალეებისაგან დაბრუნებული ვალის მიღება და სხვა. ანდერძის აღმასრულებელი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება რაც აუცილებელია ანდერძის აღსრულებისთვის.⁵¹

სამემკვიდრეო სამართალში კერძოდ კი ანდერძის აღსრულების ნაწილში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> ნანახია 18.02.2021

⁵¹ რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2017 წელი, გვ.388-389

მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე აღნიშნული ქონება ვინ უნდა განკარგოს და როგორ ძალიან კარგად რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით იგი და რაც შეიძლება აღმასრულებელს დაევალოს ფაქტიურად დეტალურად არის აღწერილი.

ანდერძის აღმსრულებელი მამკვიდრებლის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ჩვეულებრივ უსასყიდლოდ ასრულებს. შესაძლებელია მან გასამრჯელოც მიიღოს თუ ეს ანდერძით იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება სამკვიდრო ქონების დაცვას და მართვაზე გაწეულ აუცილებელ ხარჯებს, მათი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ანდერძის აღმსრულებელს უპირობოდ გააჩნია, მიუხედავად იმისა ანდერძში ამის შესახებ მითითებული იყო თუ არა. არამემკვიდრე ანდერძის აღმსრულებელი შედარებით შეზღუდული უფლებებით სარგებლობს. მას უფლება აქვს სამკვიდრო ქონებიდან გაიღოს ხარჯები- მხოლოდ მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისთვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისთვის. მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისთვის ხელფასის გასტუმრებისა და სამკვიდროს დაცვისა და მართვისთვის. სხვა ხარჯების გაღება მას არ შეუძლია. უფლებამოსილების ეს ფარგლები დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 1427-ე მუხლით და იგი ეხება არა მარტო ანდერძით დანიშნულ აღმასრულებელს, არამედ კანონით მემკვიდრეობის დროს იმ მემკვიდრეს, რომელიც ვადაზე ადრე შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას.⁵²

ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება ანდერძის აღმასრულებელს მიეცეს გასამრჯელო აღებული პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერად განხორციელებისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ სამოქალაქო კოდექსის 1427-ე მუხლი მიუთითებს იმ გარემოებაზე რომ ანდერძით დანიშნული აღმასრულებელი თავის უფლებებს და მოვალეობებს ახორციელებს უსასყიდლოდ.

აქვე მნიშვნელოვანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემდეგი განმარტებები: ანდერძის აღსრულების შემდეგ ანდერძის აღმასრულებელი მოვალეა მემკვიდრეების მოთხოვნით წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანდერძის

⁵²რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2017 წელი, გვ.389-390

აღმასრულებელი ასრულებს თავის ფუნქციებს ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე.⁵³

რაც შეეხება აღმასრულებლის გადაყენების საკითხს კანონმდებელი მიუთითებს, რომ აღნიშნულის განხორციელება შეუძლია სასამართლოს მემკვიდრების ან სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნის საფუძველზე.

ანდერძის აღმასრულებელი, როცა ის არ ასრულებს თავის მოვალეობას, მიუხედავად იმისა, მემკვიდრეებმა მიანდეს მას ანდერძის აღსრულება თუ მონადერძის მიერ იყო დანიშნული, შეიძლება გადაყენებული იქნას მხოლოდ სასამართლოს მიერ. სასამართლო ანდერძის აღმასრულებლის გადაყენების საქმეს განიხილავს მემკვიდრეების, მემკვიდრეების მეურვეებისა და მზრუნველების და სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნით.⁵⁴

მემკვიდრეებისთვის მიყენებული ზიანისათვის ანდერძის აღმასრულებელს პასუხისმგებლობას აკისრებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებისათვის. დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან გადახვევა უბრალო გაუფრთხილებლობით, თუნდაც ასეთმა მოქმედებამ მემკვიდრეებისთვის ზიანის მიყენება გამოიწვიოს, ანდერძის აღმასრულებლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს.⁵⁵

ძალზედ საყურადღებოა ანდერძის აღმასრულებლის ქმედება შესაძლებელი მან ბოროტად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით და ზიანი მიაყენოს მემკვიდრეების ქონებას თუმცა კანონმდებლობა აქაც უთითებს დაცვის მექანიზმზე სადაც წარმოჩენილია, რომ აღმასრულებელს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე გამოვყოფთ იმ ფაქტს, რაც ანდერძის აღმასრულებელს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კანონმდებელი ამიტომ მიზანშეწონილი იქნება კანონმდებლობაში მითითებული იყოს აღნიშნული პასუხისმგებლობისთვის გასამჯელო, ვფიქრობ ბევრად კეთილსინდისიერების ფარგლებში შესრულდება

⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> ნანახია 18.02.2021

⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2000 წელი, გვ. 465

⁵⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2000 წელი, გვ. 465-466

ანდერძი ვიდრე დღეს, შესაბამისად სასამართლოშიც ნაკლები დავა იქნება აღმასრულებლის მიერ ზიანის ანაზღაურების კუთხით.

3.4 სასამართლო სისტემა და ანდერძის აღსრულება

სასამართლო სისტემა და ანდერძის აღსრულება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია სამოქალაქო სამართალში ვინაიდან მნიშვნელოვნაია იმის განსაზღვრა რას უთითებს კანონმდებლობა კონკრეტული ანდერძის აღსასრულებლად ანუ ანდერძში მოხსენიებულ ქონებასთან წამოჭრილი დავა რომელმა ქვეყანის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თუ იგი რამდენიმე ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება, მაგალითად საქართველოში მცხოვრებმა პირმა დაწერა ანდერძი საქართველოში ყოფნის პერიოდში იმ ქონებაზე, რომელიც ქონდა საფრანგეთში და ამ ანდერძის დაწერის შემდგომ რამდენიმე წელში შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და გახდა საბერძნეთის მოქალაქე..

ისმის კითხვა რა ხდება ამ შემთხვევაში ვის კომპეტენციაში ამ ანდერძის აღსრულება? აღიარებენ ეს ქვეყნები ამ ანდერძს? რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს წამოჭრილი დავა?

როგორც საქართველოს კანონმდებელი გვეუბნება დავა უნდა გადაწდეს იმ ქვეყნის სამართლით სადაც მდებარეობს აღნიშნული ქონება, რადგან ქონება მდებარეობს საფრანგეთში, საფრანგეთის კანონმდებლობა გადაწყვეტს დავას, ანდერძის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს საფრანგეთის კანონმდებლობას და ეს შესაბამისობა უნდა გახდეს შემდგომში ამ ანდერძის აღსრულების საფუძველი.

ისეთ შემთხვევაში თუ ანდერძი დაწერილია შინაურულად და შემდგომ მემკვიდრე ითხოვს ამის აღიარებას უცხო ქვეყნის კანონმდებლობით, ფაქტიურად ეს შეუძლებელი ხდება ვინაიდან ფორმა დაუცველი და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტის აღიარება ვერ მოხდება ვერც ერთ სახელმწიფოში მათ შორის ისეთ სახელმწიფოში როგორცაა საფრანგეთი. ძირითადად ასეთი რთული ქეისების არსებობისას დავა წყდება იმ ქვეყნის სამართლით სადაც უშუალოდ ნივთი მდებარეობს, მაგრამ რაღატქმა უნდა კანონმდებლობისა და სასამართლოს სისტემის აღიარების საფუძველზე, აქაც შეიძლება გამოვკვეთოთ ერთი უარყოფითი მხარე,

მამკვიდრებელი, როცა გარდაიცვალა და ანდერძი დატოვა მისი აღსრულების გარანტიც უნდა ჰქონდეს მას, ვინაიდან ანდერძის დაწერას რა მნიშვნელობა ექნება თუ არ იქნება აღსრულების პერსპექტივა, ასეთ შემთხვევაში ანდერძის არსებობა როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში აზრს დაკარგავს ვინაიდან ამგავრი ფორმით დაწერილი და შეუსრულებელი ანდერძი არაფრის მომცემი არ იქნება თუ არ აღსრულდა, აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზეც რომ აღსრულებასთან წამოჭრილი დავა როგორ უნდა განიხილოს სასამართლომ, აღნიშნულს კი სწორედ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი არეგულირებს რომლის მიხედვით განსაზღვრულია უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის ბედი.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-17 მუხლი რომელიც არეგულირებს უცხო ქვეყანაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ბედს კერძოდ, თუ საქართველოს კანონმდებლობა საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას არ ითვალისწინებს და ამავე დროს შეუძლებელია საქმის აღძვრა უცხო ქვეყანაში ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პროცესის იქ წარმოებას აზრი არ აქვს, კომპეტენტურია საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებული სასამართლო, სადაც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა ბოლოს საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.⁵⁶

3.5 ანდერძის აღსრულება უცხო ქვეყანაში

აღსანიშნავია რომ საქართველოში გვაქვს კანონი რომლის მიხედვითაც რეგულიდება საქართველოს და უცხო ქვეყნის სამართლებრივი მდგომარეობა კერძო სამართალში ეს კანონი არის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, სადაც სამემკვიდრეო სამართალი მხოლოდ ორი მუხლით შემოიფარგლება 55-ე და 56-ე მუხლი არეგულირებს სამემკვიდრეო სამართალს, სადაც გვაქვს შემდეგი საკანონმდებლო განმარტება:

⁵⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, საკანონმდებლო მაცნე, ნანახია 15.02.2021

მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი გამოიყენება საქართველოს სამართალი. აგრეთვე ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს: რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა, აგრეთვე სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, სადაც იმყოფებოდა უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი.⁵⁷

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზებაც თუ როგორ ხდება სამკვიდროს გახსნა უცხო ქვეყანაში და რომელი ქვეყნის კანონმდებლობა გამოიყენება ამ დროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის მიხედვით სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ პირთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ხოლო ამავე კოდექსის 1327-ე მუხლის მიხედვით საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.⁵⁸

იმ შემთხვევაში თუ ანდერძი დაწერილია შინაურულად და ეს ანდერძი ეხება უცხო ქვეყანაში არსებულ ქონებას მაშინ თუ ეს ქვეყანა არ აღიარებს შინაურულ ანდერძს ისმის კითხვა თუ ვის რჩება ეს ქონება ან როგორ უნდა აღსრულდეს ეს ანდერძი?! დღემდე პასუხაუცემელია ეს საკითხი და რთულად განსასაზღვრია მხოლოდ ზემოთ არსებული ორი მუხლის საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობაში არ გავაქვს შეზღუდვა საქართველოს მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ მემკვიდრეობის მისაღებად, ანუ საქართველოს მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობა საზღვარგარეთ თუმცა აქ მნიშვნელოვანია რომ იმ ქვეყნის მიერ იქნას აღიარებული ანდერძი რადგან ნივთის

⁵⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, საკანონმდებლო მაცნე, ნანახია 15.02.2021

⁵⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ნანახია 18.02.2021

ადგილსამყოფელის მიხედვით აღსრულდეს ანდერძი, თუმცა კანონმდებლობა გვეუბნება რომ ანდერძის აღსრულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობას შეესაბამება და მის საფუძველზეა შედგენილი.

მემკვიდრეობის უფლება რომელიც წარმოიშვა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე სრულად აღიარებს საქართველოს კანონმდებლობა. უკანასკნელ პერიოდში, პრაქტიკაში იყო შემთხვევები როდესაც საქართველოს მოქალაქეებს მემკვიდრეობად აღიარებდა იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოიყენებოდა მემკვიდრეობის განაწილების დროს. საქართველოს მოქალაქის უფლება იყოს განსაზღვრული რიგის მემკვიდრე (კანონით მემკვიდრეობის დროს) და მიიღოს შესაბამისი წილი სამკვიდრო ქონებიდან, უცხო ქვეყნის სამართლის სისტემის მიხედვით, არ არის და არც შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წყდება ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობით. შესაძლებელია ისეთი შემთხვევის არსებობაც, როდესაც საქართველოს მოქალაქე არის მემკვიდრე გარკვეული ქონების, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და, იმავდროულად, აღნიშნულ პირს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში.⁵⁹

როგორც ვიცით, უცხო ქვეყანაში წარმოშობილ ანდერძს სრულყოფილად აღიარებს საქართველოს კანონმდებლობა, უფრო ნათლად კი ქვემოთ სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე განვიხილავთ ამ საკითხს, თუმცა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ანდერძის აღსრულების საკითხი, მაინც პასუხგაუცემელია და ბევრ კითხვას ბადებს.

გადავხდით უცხო ქვეყნების კანონმდებლობას, კერძოდ კი გავაანალიზოთ მეზობელი ქვეყნების საბერძნეთისა და თურქეთის კანონმდებლობა ანდერძის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

განვიხილავთ საბერძნეთის კანონმდებლობას ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებით და აღვნიშნავთ რომ ბერძნული სამართალში არ არის ანგლო-საქსონური “trust”-ის მსგავსი ინსტიტუტი, მით უფრო, რომ მას არ მოუხდენია 1985 წლის 1 ივლისის ჰააგის კონვენციის რატიფიცირება. თუმცა “trust”-ი ნახსენებია

⁵⁹ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 196-197

2961/2001 კანონის 17 მუხლის 4 პუნქტში. გაწერილია, რომ იმ შემთხვევაში თუ ანდერძის მიხედვით, უცხოელის ქონება, რომელიც ექვემდებარება გადასახადებს საბერძნეთში, ექცევა „trust“-ის ადმინისტრირების ქვეშ, უფლების მქონენი იბეგრებიან მისაღებ შემოსავლებზე და არსებული ქონების საბოლოო მემკვიდრეები იბეგრებიან სრული უფლებით, როგორც კი გახდებიან მფლობელები.⁶⁰

საბერძნეთის კანონმდებლობა იყენებს დაბეგვრას, იმ ქონებისა რომელიც მამკვიდრებელმა მოიხსენია ანდერძში და რომელიც საბოლოოდ უნდა გადაეცეს მემკვიდრეს, ხოლო მემკვიდრისთვის ქონების გადაცემის შემდგომ როდესაც უშუალოდ ნივთის მფლობელები ხდებიან მემკვიდრეები ქონება იბეგრება სრულყოფილად, აქვე გვსურს პარალელი გავავლოთ ქართულ კანონმდებლობასთან აღსანიშნავია, რომ ანდერძით მემკვიდრეობის დროს საქართველოს კანონმდებლობა განსხვავებით საბერძნეთის კანონმდებლობისგან არ იცნობს ანდერძში მოხსენიებულ ქონების დაბეგვრის არსს.

ზოგადად კი ანდერძების აღსრულების რეჟიმი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის მუხლებში 2017–2031. 12 ბერძნული სამართალი ცნობს სამკვიდრო აღმსრულებლის დანიშვნას (ანდერძით). მეანდერძეს შეუძლია ანდერძში დაასახელოს აღმასრულებლად ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირი. მას ასევე შეუძლია დართოს ნება აღმასრულებელს გაერთიანდეს თანააღმსრულებლებთან ან დანიშნოს საკუთარი შემცვლელი (მუხლი 2017, სამოქალაქოკოდექსი). სამკვიდროს აღსრულება მითითებულია სამკვიდრო მოწმობაში (certificat d'héritité) (მუხლი 819, სამოქალაქოკოდექსი).⁶¹

ისე როგორც ქართული კანონმდებლობა, საბერძნეთის კანონმდებლობაც იცნობს ანდერძის აღმასრულებელს, ორივე ქვეყანაში აღმასრულებლის დანიშვნა შეუძლია მამკვიდრებელს და ითვალისწინებს ანდერძის აღმასრულებლის დანიშვნას მის შეცვლას და ა.შ.

⁶⁰https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ.12, ნანახია 18.04.2021

⁶¹https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ.11-12, ნანახია 18.04.2021

რაც შეეხება თურქეთის კანონმდებლობას საპროცესო სამართალში კანონი 5718 საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ძალაში შევიდა 2007 წლის 12 დეკემბერს. ეს კანონი მოიცავს ისეთ დებულებებს როგორცაა:

მუხლი 1: სამართალი, რომელიც ვრცელდება კერძო სამართლის აქტებსა და ურთიერთობებზე და რომელიც მოიცავს უცხოურ ელემენტებს, თურქული სასამართლოების საერთაშორისო იურისდიქციებს, უცხოური გადაწყვეტილებების აღიარებას და აღსრულებას, გაწერილია თურქულ სამოქალაქო კოდექსში. საერთაშორისო კონვენციების დებულებანი, რომლის მონაწილეა თურქეთი, საიდუმლოებას წარმოადგენს. დებულებანი სამკვიდროს შესახებ შემდეგია:

მუხლი 20 - სამკვიდროზე ვრცელდება გარდაცვლილის ეროვნული კანონი. თურქეთში მდებარე უძრავ ქონებაზე ვრცელდება თურქული კანონი. - დებულებანი, რომელიც ეხება სამკვიდროს გახსნას, მიღებას და გადანაწილებას ექვემდებარება ადგილობრივ კანონს, სამკვიდროს ადგილმდებარეობის მიხედვით. - თურქეთში არსებული სამკვიდრო მემკვიდრის გარეშე, გადაეცემა სახელმწიფოს. - სამკვიდრო დებულებების ფორმა გაწერილია მე-7 მუხლის დებულებებში. სამკვიდრო დებულებანი, შესრულებული გარდაცვლილის ეროვნული კანონის თანახმად ასევე ვალიდურია. - ანდერძის შედგენის უნარიანობა ექვემდებარება პირის ეროვნულ კანონს.⁶²

თურქეთის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონს თუ გადავხედავთ უნდა ვიმსჯელოთ იმ ფაქტზე, რომ მსგავსება დიდია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონთან, კერძოდ კი გვაქვს ისეთი ჩანაწერები როგორც არის უმკვიდრო ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა აგრეთვე მიუთითებს პირის ადგილსამყოფელის მიხედვით ანდერძის აღსრულების შესაძლებლობაზე და ასე შემდეგ.

ზოგადად კი თურქეთის კანონმდებლობაში ანდერძის აღსრულება გვაქვს შემდეგი სახით გამოხატული, ანდერძით მემკვიდრეობისას, საჯარო რეესტრის ოფიცერი ატყობინებს ნოტარიუსს პირის გარდაცვალებას, შემდეგ ნოტარიუსი აგზავნის

⁶²https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf სამემკვიდრო საქმისწარმოება თურქეთი, გვ.5-6, ნანახია 18.04.2021

ანდერძს მოსამართლესთან. მოსამართლე ხსნის ანდერძს და ქონება ნაწილდება გარდაცვლილის ნების თანახმად. თუ მეანდერძე (მამკვიდრებელი) ნიშნავს სამკვიდრო აღმასრულებელს, ეს უკანასკნელი ახორციელებს ანდერძის აღსრულებას.⁶³

თურქეთის კანონმდებლობას ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა აქვს კერძოდ, რამდენიმე პროცედურას გადის. მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის შემდეგ საჯარო რეესტრი ატყობინებს ნოტარიუსს პირის გარდაცვალების ფაქტს, ნოტარიუსი აგზავნის ანდერძს მოსამართლესთან და მოსამართლე ხსნის ამ ანდერძს, საქართველოში კი ამ საკითხთან დაკავშირებით როგორც ვიცით განსხვავებული რეგულაცია გვაქვს, საქართველოში ანდერძთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვა ანუ მოსამართლესთან მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება როდესაც ანდერძით მემკვიდრეობისას წარმოიშვება დავა.

⁶³https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf სამემკვიდრეო საქმისწარმოება თურქეთი, გვ.4, ნანახია 18.04.2021

თავი IV ანდერძით მემკვიდრეობა უცხო ქვეყნის კანონმდებლობით

4.1 ანდერძით მემკვიდრეობა გერმანიის კანონმდებლობით

საქართველოსთვის გერმანიის კანონმდებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და ფაქტიურად ბევრი საერთო აკავშირებთ მათ, ამიტომ ვფიქრობ მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლის ნაწილში კერძოდ კი ანდერძის მემკვიდრეობისას განვიხილოთ, თუ როგორ წესრიგდება აღნიშნული საკითხი გერმანიის კანონმდებლობით. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ გერმანიის კანონმდებლობაში ისევ როგორც საქართველოს კანონმდებლობაში გვაქვს დათქმა რომლის მიხედვითაც მამკვიდრებელს ანდერძის შედგენა შეუძლია მხოლოდ პირადად.

გერმანიის კანონმდებლობა აგრეთვე განმარტავს შემდეგს: მამკვიდრებელს არ შეუძლია საანდერძო განკარგულების განხორციელება იმგვარად, რომ სხვა პირმა განსაზღვროს, არის თუ არა საანდერძო განკარგულება ნამდვილი ან ბათილი. მამკვიდრებელს არ შეუძლია დაავალოს სხვას იმ პირის განსაზღვრა, რომელმაც უნდა მიიღოს ქონება, ისევე როგორც – ქონებრივი გადაცემის საგნის განსაზღვრა.⁶⁴

გერმანულ სამოქალაქო კოდექსს აქვს ერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც თუ ანდერძი ბუნდოვანია და ვერ ხერხდება იმ პირების იდენტიფიკაცია რომელიც მოხსენიებულია ანდერძში ამ შემთხვევაში კანონმდებლობის მიხედვით კანონით მემკვიდრეებს დარჩებათ გარდაცვლილი პირის ქონება, იმ წილის შესაბამისად რომელსაც კანონით მემკვიდრე მიიღებდა ანდერძის არ არსებობის შემთხვევაში.

თუ მამკვიდრებელმა თავის შვილებს უანდერძა ქონება დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე, ხოლო შვილი ანდერძის შედგენამდე გარდაიცვალა ისე, რომ თავის შემდეგ დატოვა შთამომავლები, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად

⁶⁴http://lawlibrary.info/ge/books/2019gizge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfUCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIz1dvBKuKBh093sw4 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019, ნაწილი 3. ანდერძი, კარი 1. ზოგადი დებულებები, გვ. 500, ნანახია 22.04.2021

დანიშნულად მიიჩნევიან ეს შთამომავლები ისე, როგორც ისინი დაიკავებდნენ შვილის ადგილს კანონით მემკვიდრეობისას. აგრეთვე თუ მამკვიდრებელმა ქონება უანდერმა თავის შთამომავალს, ხოლო ეს უკანასკნელი ანდერძის შედგენის შემდეგ სახეზე აღარ არის, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან შთამომავლის შთამომავლები ისე, როგორც ისინი დაიკავებდნენ შთამომავლის ადგილს კანონით მემკვიდრეობისას.⁶⁵

გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობა აგრეთვე გამარტავს იმ ფაქტს თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს მესამე პირისთვის დატოვებული ანდერძის საკითხი თუ პირის იდენტიფიკაცი ვერ ხერხდება, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა განმარტავს შემდეგს: რომ იმ შემთხვევაში როდესაც მესამე პირის შთამომავლებს უანდერმა ქონება მამკვიდრებელმა ისე რომ ანდერძში დასახელებულ პირთაგან დეტალურად ვერ ხდება პირის იდენტიფიცირება, მაშინ მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან ის შთამომავლები, რომლებიც ჯერ არც კი არიან ჩასახულნი სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის, აგრეთვე ისეთ დროს როდესაც ქონების გადაცემა განხორციელდა გადადების პირობით ან კიდევ საწყისი ვადის დადგენით, ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ პირობა ან ვადა დგება სამკვიდროს გახსნის შემდეგ.

თუ მამკვიდრებელმა დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე ქონება უანდერმა პირთა განსაზღვრულ კატეგორიას ან იმ პირებს, რომლებიც მასთან იმყოფებიან სამსახურეობრივ ან საქმიან ურთიერთობაში, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც სამკვიდროს გახსნის მომენტში მიეკუთვნებიან აღნიშნულ კატეგორიას ან იმყოფებიან აღნიშნულ ურთიერთობაში. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ თუ მამკვიდრებელმა მემკვიდრედ დანიშნული პირი აღწერა ისეთი ნიშნებით, რომლებიც შეესაბამება რამდენიმე პირის მონაცემებს, და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი

⁶⁵http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019, ნაწილი 3. ანდერძი, კარი 1. ზოგადი დებულებები, გვ. 500, ნანახია 22.04.2021

უნდა დაინიშნოს მემკვიდრედ, მაშინ ჩაითვლება, რომ ისინი მემკვიდრეობას იღებენ თანაბარ წილად.⁶⁶

აქვე უნდა განვმარტოთ რომ ისევე როგორც გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობა საქართველოს კანონმდებლობაც ანალოგიურად განმარტავს ანდერძში მოხსენიებული პირის იდენტიფიკაციის საკითხს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ ანდერძში არ მივუთითებთ კონკრეტულად, რომელ მემკვიდრეს რა ქონება უნდა გადაეცეს, მაშინ სამკვიდრო თანაბარწილად განაწილდება მემკვიდრეებს შორის, მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია, რომ მთელ თავის ქონებს უტოვებს შვილებს და არაფერია ნათქვამი თითოეულს რა შეხვდება, მაშინ ქონება თანაბარწილად გადანაწილდება შვილებზე.⁶⁷

აღსანიშნავია რომ თუ საქართველოს კანონმდებლობას შევადარებთ გერმანიის კანონმდებლობას აღმოვაჩინოთ რომ, იმ შემთხვევაში როდესაც ანდერძში ვერ ხდება პირის იდენტიფიკაცია აღნიშნული ანდერძის ბედი გადაწყვეტილია და თვითონ კანონმდებლობა გვიდგენს იმ შემთხვევებს თუ რომელ პირს უნდა გაუნაწილდეს მამკვიდრებლის ქონება, ზემოაღნიშნულ მაგალითს თუ განვიხილავთ იმ შემთხვევაში ქონება შვილებზე განაწილდებოდა ვინაიდან ვერ მოხერხდა იმის დადგენა რომელ მემკვიდრეს გულისხმობდა მამკვიდრებელი.

როგორც ქართულ სამოქალაქო კოდექსში მსგავსად გერმანიის სამოქალაქო კოდექსშიც გვაქვს ჩანაწერი შემდეგი სახით, რომელიც ანდერძით მემკვიდრეებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, აღნიშნულ ჩანაწერში კი ვკითხულობთ შემდეგს: თუ მამკვიდრებელმა ანდერძში ქონების გადაცემა გაითვალისწინა იმ პირობით, რომ ქონების მიმღებმა განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან ან გააგრძელოს მოქმედების შესრულება, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების შესრულებისაგან თავისშეკავება ან მოქმედების შესრულება დამოკიდებულია

⁶⁶http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019, ნაწილი 3. ანდერძი, კარი 1. ზოგადი დებულებები, გვ. 501 ნანახია 22.04.2021

⁶⁷<http://myl.ge/img/original/2015/11/9/264674472.pdf> მკაკ კობიაშვილი, მემკვიდრეობა, „სამკვიდრო, სამკვიდროს მიღების პროცედურა და ვადები, მამკვიდრებელი და მემკვიდრეები, მემკვიდრეთა რიგითობა, სავალდებულო წილი“ 2011 წელი, გვ.12, ნანახია 14.05.2021

მხოლოდ ქონების მიმღების ნებაზე, – საექვივობისას ივარაუდება, რომ ქონების გადაცემა დამოკიდებულია გაუქმების პირობაზე ისე, რომ ქონების მიმღები ასრულებს მოქმედებას ან მოქმედების შესრულებისაგან თავს იკავებს.⁶⁸

ანდერძით მემკვიდრობაში ე.წ საანდერძო განკარგულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც საქართველოს აგრეთვე უხო ქვეყნის კანონმდებლობაში, კერძოდ კი გერმანულ კანონმდებლობაში სადაც განსაზღვრულია, რომ იმ შემთხვევაში როდესაც მემკვიდრედ მამკვიდრებელმა დანიშნა თავისი მეუღლე, სამართლებრივი ძალის არ მქონე შეიძლება გახდეს ამგვარი საანდერძო განკარგულება თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე შეწყდა ქორწინება, ქორწინების შეწყვეტას უთანაბრდება ის ფაქტიც როდესაც მამკვიდრებლის მიერ შეტანილია განცხადება განქორწინების თაობაზე, აღნიშნული ნორმით კანონმდებლი მიუთითებს საანდერძო განკარგულების სრულყოფილებაზე. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც როდესაც საანდერძო განკარგულებაში მოხსენიებულია ის პირი რომელსაც შემდგომში უფლება აქვს მიიღოს ანდერძით განსაზღვრული ქონება, და ეს პირი და მამკვიდრებელი დანიშნულები იყვნენ ე.ი დანიშნულ პირს უტოვებს ქონებას მამკვიდრებელი, ხოლო თუ მამკვიდრებლის სიცოცხლეში არსებობდა წინაპირობა ნიშნობის ჩაშლისა, ამ ვითარებაში ასეთ საანდერძო განკარგულებასაც არ აქვს იურიდიული ძალა. რაღა თქმა უნდა, აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ანალოგიურ სიტუაციაში მამკვიდრებლის ნება-სურვილი იქნებოდა გამოხატული, რომლის დროსაც მამკვიდრებლის მიერ იქნებოდა საანდერძო განკარგულება შეცვლილი, რომ ჰქონოდა შესაძლებლობა.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტულად არ აღწერს საანდერძო განკარგულებისას მეუღლისა და დანიშნული პირის ამგვარ განსაზღვრებას როგორც გერმანულ კანონმდებლობაშია მოცემული, კონკრეტულად ზემოთ მოცემული ნაწილების შესაბამისად საანდერძო განკარგულების არაკანონიერად გამოცხადებას არ იწვევს, ე.ი საქართველოსა და გერმანულ კანონმდებლობას როგორც აღვნიშნეთ ბევრი მსგავსება და გარკვეულ

⁶⁸http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019, ნაწილი 3. ანდერძი, კარი 1. ზოგადი დებულებები, გვ. 501 ნანახია 22.04.2021

წილად განსხვავებებიც აქვს, თუმცა სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოს და გერმანიის კანონმდებლობა, სამოქალაქო სამართლის ნაწილში, კერძოდ კი მემკვიდრეობის სამართალში, ანდერძით მემკვიდრეობის კუთხით ძალიან ახლოს არიან, მოცემულ შემთხვევაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ყველა მუხლის განხილვა ფაქტიურად შეუძლებელია, თუმცა ძირითადი ნორმები რაზეც არის დაყრდნობილი გერმანიის კანონმდებლობა ანდერძის ნაწილში განვიხილეთ და საქართველოს კანონმდებლობასთან სიახლოვეც აღმოვაჩინეთ.

4.2 შედარებითი ანალიზი საქართველოსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან

თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა მემკვიდრეობის საფუძვლად ანდერძით და კანონით მემკვიდრეობას ასახელებს, აქედან უპრატესობას ანიჭებენ ანდერძით მემკვიდრეობას რომლის მიხედვითაც მამკვიდრებელი უფლებამოსილია ჯერ კიდევ სიცოცხლეში განსაზღვროს თუ ვის უნდა დარჩეს მისი ქონება გარდაცვალების შემდგომ, ანუ შეიძლება ითქვას რომ ანდერძი არის მამკვიდრებელის სურვილის გამოვლინება კანონიერი ფორმით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთობლივი ანდერძის შედგენის შესაძლებლობას, სადაც ძირითადად გამოხატულია ორი ან რამდენიმე პირის ნება-სურვილი. ასეთი სახის ანდერძი ძირითადად მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში. რაღა თქმა უნდა ერთობლივ ანდერძს ყავს როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები მაგალითად საფრანგეთის კანონმდებლობა კრძალავს ერთობლივი ანდერძის არსებობას.

მემკვიდრეობის თავისუფლების პრინციპი ნებას აძლევს მამკვიდრებელს ამოირჩიოს მემკვიდრედ ნებისმიერი პირი ისე რომ არ გაითვალისწინოს უახლესი ნათესავების ინტერესი, თუმცა ეს პრინციპი გარკვეულწილად ზღუდავს მამკვიდრებელს ოჯახის წევრებთან მიმართებაში, რაც სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარად რეგულირდება.⁶⁹

⁶⁹ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 185

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთის მხრივ ანდერძის თავისუფლების პრინციპისთვის დამახასიათებელ თავისებურებას ოდითგანვე წარმოადგენდა მისი აბსოლუტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ უნდა ჰქონოდა მთელი თავისი ქონების ანდერძით მემკვიდრეთა შორის სრულად განაწილების უფლება. ქონების გარკვეული ნაწილი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო ანდერძის მიღმა და გამოყენებული უნდა ყოფილიყო ოჯახის წევრების ინტერესების დასაცავად.⁷⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ ნების თავისუფლების პრინციპი ანდერძით მემკვიდრეობისათვისაა დამახასიათებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია მამკვიდრებლის ნების სრულყოფილად გამოვლენისთვის, თუმცა აქვე მის უარყოფით მხარეზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ იგი მამკვიდრებელს ზღუდავს, რაც შეეხება სხვა ქვეყნების კანონმდებლობას ცოტა განხვავებული აზრი აქვთ მათ, ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისინი.

საფრანგეთის კანონმდებლობაში დადგენილია ე.წ თავისუფალი წილის პრინციპი რომლის ფარგლებშიც მამკვიდრებელი უფლებამოსილია თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება. დარჩენილი ქონება შეადგენს რეზერვს და განკუთვნილია მამკვიდრებლის უახლოესი ნათესავებისთვის რომელთა რიცხვს ეკუთვნის მხოლოდ პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავები, გვერდითი ხაზის ნათესავებს, აგრეთვე მეუღლეს არ მიუწვდებათ ხელი „რეზერვზე“ და შესაბამისად, შეიძლება მთლინად სამკვიდროს გარეშე დარჩნენ.

რაც შეეხება შვეიცარიის კანონმდებლობას, შვეიცარიის კანონმდებლობაც ანალოგიური გზით წავიდა, განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ რეზერვის წილის გამონაგარიშებაში და აგრეთვე იმაშიც რომ „რეზერვზე უფლებისმქონე ნათესავების რიცხვში შეიძლება იყვნენ და-ძმები და მეუღლე. მემკვიდრეების რიცხვში და-ძმებისა და მეუღლის ჩართვის საკითხის გადაწყვეტა შედის კანტონების კომპეტენციაში.⁷¹

⁷⁰ თ.გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება(ცალკეული მუხლების ფონზე)

⁷¹ ი.ხ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 185,186

განსხვავებით საქართველოში არსებული თავისუფალი ნების პრინციპიდან საფრანგეთის კანონმდებლობა არსებული თავისუფალი წილის პრონციპზე, იგი მხოლოდ ქონების კონკრეტული წილის განკარგავს გულისხმობს მამკვიდრებლის მიერ, ხოლო დარჩენილ ქონების ნაწილს კანონით მემკვიდრეთა წრეზე ანაწილებს, და აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქონების რეზერვზე მეუღლეს ხელი არ მიუწვდება, ანალოგიურად არის შვეიცარიის კანონმდებლობაში ერთი განსხვავებით, რომ შვეიცარიაში მეუღლეს აქვს ქონების რეზერვზე წვდომის უფლებაც, მოცემულ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებული თავისუფლების პრინციპი სრულიად განსხვავდება შვეიცარიაში და საფრანგეთში არსებულ პრინციპისგან.

მნიშვნელოვანია ინგლისის მემკვიდრეობის სამართალში როგორ წესრიგდება აღნიშნული საკითხი, ინგლისის მემკვიდრეობის სამართალში მემკვიდრეობის თავისუფლების პრინციპი სხვაგვარად არის აგებული. კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ ცნობს ცნებებს „სავალდებულო წილს“ და „რეზერვს“. მხოლოდ ბოლო პერიოდში ინგლისურ სამართალში გამოჩნდა მამკვიდრებლის ოჯახის წევთა ინტერესის დაცვის მექანიზმი.

აგრეთვე მნიშვნელოვანია აშშ სადაც „თავისუფალი მემკვიდრეობის“ პრინციპი შემოიფარგლება მხოლოდ მეუღლის ინტერესებით. ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით მეუღლე შეიძლება იყოს როგორც ანდერძით, ასევე კანონით მემკვიდრე, ისევე როგორც ინგლისი, ზოგიერთ შტატში მეუღლეს მამკვიდრებლის ქონებიდან აქვს „გონივრული“ ანაზღაურების უფლება განსაზღვრული დროის განმავლობაში.⁷²

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს ინგლისსა და აშშ-ს განსხვავებული მიდგომა აქვთ ანდერძთან დაკავშირებით იგი განსხვავდება როგორც ფრანგული და შვეიცარიის კანონმდებლობისგან აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობისგანაც თუმცა მსგავსებაც შესაძლებელია მოიძებნოს, მაგალითად იმ კუთხით, რომ საქართველოში მეუღლე შეიძლება იყოს როგორც ანდერძით მემკვიდრე ისე კანონისმიერი მემკვიდრე, ანალოგიური წესრიგი აქვს აშშ-ს ზოგიერთ შტატსაც.

⁷²ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 187

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ „საერთოდ, პირს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება და ნებისმიერი პირი დანიშნოს თავის მემკვიდრედ, მაგრამ არსებობს ზოგიერთი შეზღუდვა“.⁷³

⁷³The American Bar Association, Family Legal Guide, 1994, p.661.

თავი V. ანდერძით მემკვიდრეობის თანმდევი პრობლემები

5.1 საანდერძო ქმედუნარიანობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები

საანდერძო ქმედუნარიანობა და მასთან დაკავშირებული საკითხი ყოველთვის პრობლემატური იყო და დღემდე ასეა, სამწუხაროდ ანდერძის შედგენის მომენტში ქმედუნარო პირის უფლებები იზღუდება.

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას. ამიტომ იგი გარიგებაა. ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივად, რომ იგი გარიგების სინონიმადაა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ნება ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ნების გამოვლენა სამართლებრივი შედეგის დადგომასთან არის დაკავშირებული და სამოქალაქო სამართალში მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ანდერძში რადგან ერთი პირის ნებაა გამოხატული იგი ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავცელებული და კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჩვეულებრივი თუ ცალმხრივი გარიგებათა ერთი ჯგუფი ნების გამომვლენ პირისთვის წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის საფუძველს, მაგალითად, სამკვიდროს მიღებაზე თანხმობის გამოცხადება, მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ცალმხრივი გარიგებები რომლებიც უპირატესობებს მესამე პირებს აკუთვნებდნენ. სწორედ ასეთ გარიგებას მიეკუთვნება ანდერძი⁷⁴. ანდერძის ცალმხრივობას ისიც განაპირობებს, რომ მისი ნამდვილობისთვის არ არის საჭირო სხვა პირის წინასწარი ნების თანხვედრა საკმარისია მხოლოდ მოანდერძის ნება.⁷⁵

როგორც ჩვენთვის ცნობილია ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა და მისი შედგენა მხოლოდ მოანდერძეს შეუძლია ყოველგვარი წარმომადგენლის გარეშე, მაგრამ არსებობენ პირები რომლებსაც უჭირთ დამოუკიდებლად ანდერძის შედგენა მაგ. შეზღუდულ ქმედუნარიანობის დროს.

მოანდერძის ნების ნამდვილობის გარანტირებულობის აუცილებლობიდან გამომდინარე, კანონმდებელი მას რამდენიმე მოთხოვნას უყენებს, რომელთა

⁷⁴ ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაილი. თბ., 2011. გვ.298.

⁷⁵ ეკატერინე ნანდოშვილი, ანდერძი და სამკვიდრო ქონება, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #3(55)'17,102

შესრულება სავალდებულოა. კანონით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებლის მიმართ მსგავსი მოთხოვნა არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის მიხედვით მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. სრულწლოვანება თავისთავად არ ნიშნავს ქმედუნარიანობას. შეიძლება პირი სრულწლოვანი იყოს, მაგრამ შეზღუდულქმედუნარიანი. ამიტომ მას ანდერძის შედგენა არ შეუძლია. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით პირს 18 წლის ასაკში წარმოეშობა. მხოლოდ სრულწლოვანების პერიოდში აქვს პირს თავისი მოქმედების გონივრული განსჯისა და ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ამიტომ ანდერძის შედგენის მომენტში პირი ერთდროულად უნდა იყოს სრულწლოვანიც და სრული ქმედუნარიანიც.⁷⁶

როგორც ვხედავთ კანონმდებლობა ბოჭავს პირს თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება, არასრულწლოვანი პირი, რომელიც ფლობს დიდ ქონებას და ვერ წერს ანდერძს, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და მისი სიცოცხლის ხანგძლივობა ძალიან მოკლეა ამ შემთხვევაში როგორ მოიქცეს იგი ვის გადააბაროს ქონება ?!

პირმა შეიძლება ანდერძის შედგენის შემდეგ დაკარგოს ქმედუნარიანობის განსაზღვრული ხარისხი. ეს ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ მოახდენს. მაგრამ ქმედუნარიანი პირი, თუ ანდერძის შედგენის მომენტში ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან სულიერი განცდის პირობებში გონივრულად ვერ განსჯის და ნათლად ვერ გამოხატავს თავის ნებას, შეიძლება ანდერძის გაბათილების საკითხი დადგეს. ამ დროს არაა აუცილებელი მოანდერძის შეზღუდულქმედუნარიანად სასამართლო წესით აღიარება. სასამართლომ იმაზე უნდა იმსჯელოს, შეიძლებოდა თუ არა ასეთ პირობებში მოანდერძეს თავის ნება უხარვეზოდ გამოევიწყებინა.⁷⁷

ზემოაღნიშნული ჩანაწერიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მამკვიდრებლის ქმედუნარიანობის შემდეგ სასამართლოს მსჯელობის საგანი უნდა

⁷⁶რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015 წელი, გვ.343-344

⁷⁷იქვე, რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015 წელი, გვ.344

გახდეს პირის შესაძლებლობა თავისუფალი ნების გამოვლენასთან დაკავშირებით და არა იმის მოკვლევა ქმედუუნარო პირის არსებობა და მისი დადგენა.

არასრულწლოვნებთან მიმართებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თუ როგორ რეგულირდება იგი, და რა დაცვის მექანიზმები აქვს სხვა სახელმწიფოს არასრულწლოვნების მიმართ, რომლებსაც სურთ ანდერძის შედგენა.

ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის მიღების პროცესში შეიქმნა შესაძლებლობა საანდერძო უფლებაუნარიანობა მინიჭებოდა 16 დან 18 წლამდე არასრულწლოვანს იმ შემთხვევაში თუ მას არ ჰყავდა კანონით მემკვიდრეები. მოგვიანებით იგი უარყოფილი იქნა. ასეთი პოზიცია ეფუძვნებოდა ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკას. მაგალითად გერმანიის სამოქალაქო დებულების მესამე განყოფილებაში, რომელიც ანდერძს ეძღვნება, საანდერძო უფლებაუნარიანობის ქვედა ზღვრად მიჩნეულია 16 წელი. ამასთან 2229-ე მუხლში მითითებულია, რომ არასრულწლოვანის მიერ ანდერძის შედგენისას საჭირო არაა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის საფუძველზე 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებს შეუძლიათ ანდერძის საფუძველზე თავიათი ქონები ნახევრის განკარგვა. მთლიან ქონებაზე ანდერძის შედგენა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ თუ არ ჰყავთ კანონისმიერი მემკვიდრეები. ინგლისის სამემკვიდრეო სამართალი სამხედრო მოსამსახურეებსა და მეზღვაურებს აძლევს არასრულწლოვნების პერიოდში ანდერძის შედგენის შესაძლებლობას. ამერიკის შტატების უმრავლესობაში 18 წლის და ზოგან უფრო მეტის შემდეგ იწყება საანდერძო უფლებაუნარიანობა. ზოგიერთ შტატში ეს შესაძლებელია 14 წლიდან თუ იგი დაქორწინებულია ემანსიპირებულია ან იმყოფება ექსტრემალურ სიტუაციაში.⁷⁸

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას 18 წლის მიღწეული პირი შეიძლება იყოს ყოფილიყო სრული ქმედუუნარიანობის მქონე თუ იგი დაქორწინდებოდა ან კიდევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ 16 წელს მიუღწევდნარასრულწლოვანს წარმომადგენელი მიანიჭებს საწარმოს

⁷⁸რ.შენგელია, ე.შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2007 წელი, გვ.56,57.

დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას მაშინ ამ სფეროში პირი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას აღსანიშნავია, რომ ქორწინება 18 წლამდე დაუშვებლად იქნა მიჩნეული და ამგვარი მიდგომაც ფაქტიურად შეიცვალა ანუ „ჯანმრთელი“ პირის ქმედუნარიანობა ყველა შემთხვევაში 18 წლით განისაზღვრება. რაც შეეხება სასამართლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებებს და პრაქტიკას მკაცრად არის დაცული სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები რომლითაც ქმედუნარიანობის საკითხს ეხება, აქვე ჩნდება უამრავი კითხვა მათ შორის ის თუ როგორ შეიძლება დაწეროს ან ვინ შეიძლება დაწეროს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისთვის ანდერძი ან როგორ განკარგოს ეს ქონება. სამოქალაქო სამართალიში დღემდე პასუხგაუცემელია, ვფიქრობ უნდა იყოს რაიმე კონკრეტული ნორმა რომლიც დაარეგულირებს აღნიშნულ ფაქტს და მოწესრიგდება ეს საკითხი, თუმცა ამ ყველაფერს აქვს მეორე მხარეც, რომ შეიძლება ბოროტად ისარგებლოს ვინმემ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ მაგრამ თუ არ ექნება ასეთ პირს ანდერძის შედგენის შესაძლებლობა ვის უნდა დარჩეს მისი ქონება?! ანდერძის დაწერის უფლება უნდა ჰქონდეთ ასეთ პირებს გარკვეული შეღვათების დაწესებით და წარმომადგენლის დახმარებით.

აქვე მოვიშველიებთ ბერძნულ კანონმდებლობას რომლის მიხედვითაც კანონი, რომელიც ვრცელდება ანდერძის შედგენის ქმედუნარიანობაზე, არის გარდაცვლილის ეროვნული კანონი. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ვერ გავრცელდება მე-9 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, უცხოელი, რომელიც საკუთარი ეროვნული კანონის თანახმად ქმედუნაროა იურიდიული აქტის შესაქმნელად, ითვლება ქმედუნარიანად აქტის შესადგენად, თუ ბერძნული კანონი ანიჭებს მას ამ უნარს.⁷⁹

რაც შეეხება ზოგადად საბერძნეთის კანონმდებლობას, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობას თითქმის ერთნაირი მიდგომა აქვთ ვინაიდან ქმედუნარიანობის საკითხს განსაზღვრავს ისე როგორც საქართველოს კანონმდებლობა და ანდერძის შედგენის შესაძლებლობას უკრძალავს ქმედუნარო ადამიანს. თუმცა საბერძნეთის

⁷⁹https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ.22, ნანახია 18.04.2021

კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ფაქტსაც, რომ თუ პირი თავის სამშობლოში აღიარებულია ქმედუნაროდ ხოლო საბერძნეთის კანონმდებლობაში იგი არ იქნა აღიარებული ასეთ პირად მაშინ ასეთ პირს საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით შეუძლია შეადგინოს ანდერძი.

საბერძნეთში არსებული დებულებანი მეანდერძის ქმედუნარიანობის (capacité) შესახებ სპეციალურ ხასიათს ატარებს საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1719-ე მუხლის მიხედვით და ვრცელდება მიუხედავად წინააღმდეგობისა სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებთან, ქმედუნარიანობის შესახებ. ამ დებულებების თანახმად, ანდერძის შედგენა არ შეუძლიათ არასრულწლოვნებს, ანუ მათ ვისაც არ შეუსრულდა თვრამეტი წელი, და მათ ვისაც ეს აკრძალული აქვთ (interdits), ანუ მეურვეობის და მზრუნველობის (curatelle) ქვეშ მყოფ პირებს, რომელთაც პირდაპირი წესით ჩამორთმეული აქვთ ანდერძის შედგენის უფლება, მათ ვისაც ანდერძის შედგენის მომენტში არ აქვთ გონივრულად განსჯის უნარი ან დაკარგული აქვთ გონივრულად განსჯის უნარი ფსიქიური დაავადების შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აკრძალვის მქონე მხარდაჭერის მიმღები (უძღები) პირების ქმედუნარობა ძალაში შედის იმ სარჩელის შეტანისთანავე, რომლის შედეგადაც განხორციელდა აკრძალვა ან იურიდიული დახმარების დანიშვნა საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1719-ე მუხლი.⁸⁰

საბერძნეთისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებას თუ მოვახდენთ აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყანას აქვს ერთნაირი მიდგომა და ისინი გარკვეულწილად როგორც არასრულწლოვნს აგრეთვე შეზღუდულქმედუნარიან პირის არ აძლევენ უფლებებს შეადგინონ ანდერძი. სწორედ ამიტომ ვფიქრობ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში უნდა შევიდეს გარკვეული დამატება შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირთან მიმართებით რაც უფრო მეტად განამტკიცებს ასეთი პირის მიერ ანდერძის შედგენის შესაძლებლობას.

რაც შეეხება თურქეთის სამოქალაქო კოდექსს აღსანიშნავია რომ, სრული იურიდიული ქმედუნარიანობის მქონე თხუთმეტი წლის პირს შეუძლია შეადგინოს ანდერძი

⁸⁰https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdablo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ.4,5, ნანახია 18.04.2021

თურქეთის სამოქალაქო კოდექსში გაცხადებული ფორმისა და ჩარჩოს ფარგლებში. შეცდომა, ფალსიფიკაცია და იძულება ბათილად ხდის ანდერძს. ანდერძი შესრულებული უნდა იყოს კანონთ გათვალისწინებული ფორმის სახით.⁸¹

მოცემულ შემთხვევაში თურქეთის კანონმდებლობას ქმედუნარიანობის ზღვარი დაბალი აქვთ ამიტომ ამ ქვეყანაში ანდერძის შედგენის შესაძლებლობა პირს ეძლევა თხუთმეტი წლიდან.

5.2 ანდერძის შეცვლა ან მოშლა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლი განმარტავს ანდერძის შეცვლის საშუალებებს ანუ იმ ფაქტს თუ რა შემთხვევაში შეგვიძლია ანდერძი შევცვალოთ, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ანდერძის შეცვლა ან მოშლა ყოველთვის შეუძლია მონადერძეს ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც გააუქმებს წინა ანდერძს ან შეცვლის წინა ანდერძის რომელიმე ნაწილს ასეთ შემთხვევაში საყურადღებოა ის ფაქტი რომ ზოგჯერ მთლიანად კი არ აუქმებს ანდერძს მამკვიდრებელი არამედ მის რომელიმე ნაწილს ცვლის ან აუქმებს ახალი ანდერძით ამ დროს კი ის ძველი ანდერძი ძალაში რჩება იმ გაუქმებული ნაწილის გამოკლებით, აგრეთვე შესაძლებელია მამკვიდრებელმა შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენის გზით წესით ეს იმ შემთხვევაში ხდება როდესაც ანდერძი დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ ან ინახება მასთან, ხოლო რაც შეეხება შინაურულ ანდერძის ფორმას ამ შემთხვევაში სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ასევე გვაქვს ისეთი შემთხვევაც როდესაც მონადერძის განკარგულებით ნოტარიუსის მიერ ხორციელდება ანდერძის ყველა ეგზემპლარის განადგურება, ანდერძის ყველა ეგზემპლარის განადგურება შეუძლია თვითონ მონადერძესაც რა თქმა უნდა თუ ანდერძი მასთან ინახება და არ არის ნოტარიუსისთვის მიბარებული.

ანდერძის გაუქმებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იმ საკითხის შეფასება. რომ ის ანდერძი რომელიც გაუქმდა შემდგომში შედგენილი ანდერძით არ შეიძლება აღვადგინოთ ისეთ შემთხვევაშიც კი თუ უფრო გვიან შედგენილი ანდერძი

⁸¹https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf სამემკვიდრეო საქმისწარმოება თურქეთი, გვ.2, ნანახია 18.04.2021

შემდგომში გაუქმდება განცხადების შეტანის გზით. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი უთითებს იმ გარემოებაზეც რომ ერთხელ გაუქმებული ანდერძი რომელიც გააუქმა ახალმა ანდერძმა თუნდაც ახალი ანდერძის გაუქმებაც მოხდეს მაინც არ უნდა აღდგეს ძველი ანდერძი.

ვფიქრობთ მნიშვნელოვანი ის საკითხიც, როდესაც მამკვიდრებლის მიერ რამდენიმე ანდერძია შედგენილი ასეთ შემთხვევაში უნდა გაუქმდეს თუ არა ანდერძი ან რომელი ანდერძი უნდა შეიცვალოს და გაუქმდეს, აღნიშნულზე გვპასუხობს სამოქალაქო კოდექსის 1400-ე მუხლი და ადგენს რომ თუ მამკვიდრებელი ანდერძის შედგენისას არ უთითებს წინა ანდერძის შეცვლაზე ან გაუქმებაზე ამ შემთხვევაში იგი არც უქმდება და არც იცვლება ჩვეულებრივად ინარჩუნებს მოქმედი ანდერძის სახეს. როგორც წინა თავებში განვიხილეთ ნოტარიულად დამოწმებულ ანდერძს აქვს უპირატესი ძალა სხვა ანდერძებთან შედარებით, აქედან გამომდინარე სხვა ფორმის ანდერძით არ შეიძლება მოიშალოს ნოტარიულად დამოწმებული ანდერძი, აღნიშნული განამტკიცებს და მიუთითებს სანოტარო ფორმის სრულყოფილებაზე.

კანონმდებლობა ზუსტად გვიდგეს თუ რა შემთხვევაში შეგვიძლია გავაუქმოთ ან ბათილად გამოვაცხადოთ ანდერძი კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 1402-ე და 1403-ე მუხლები განსაზღვრავენ შემდეგს: ანდერძი ძალას კარგავს, თუ: ა) პირი, რომლის სასარგებლოდაც შედგენილი იყო ეს ანდერძი, გარდაიცვალა მოანდერძეზე ადრე; ბ) ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მოანდერძის სიცოცხლეში, ან მოანდერძემ გაასხვისა იგი; გ) ერთადერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე.

რაც შეეხება ანდერძის ბათილობის საკითხს 1. ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობისას, რომლებიც იწვევენ გარიგების ბათილობას საერთოდ. 2. საანდერძო განკარგულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს ან საზოგადოებრივ ინტერესებს, აგრეთვე ისეთი განკარგულებები, რომლებიც გაუგებარია ან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს – ბათილია 3. ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით

დადგენილი წესების დარღვევით, ასევე ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი.⁸²

ანდერძის შეცვლა, მოშლასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ კანონმდებლი კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გვიდგენს მთელ რიგ ნორმებს სადაც დეტალურად აღწერს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა ანდერძის მოშლა და შეცვლა.

⁸²საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113>

თავი VI. ანდერძი პანდემიის პერიოდში

6.1 ანდერძი COVID-19-ის პირობებში

ანდერძთან დაკავშირებით საქართველოში გვაქვს ბევრი საკანონმდებლო ნორმა რომლითაც რეგულირდება ანდერძით მემკვიდრეობის საკითხი, თუმცა აღსანიშნავია რომ არც ერთ მუხლში, კანონში და ლიტერატურაში არ არის მოხსნიებული პანდემიის პერიოდში როგორ უნდა განხორციელდეს ანდერძის შედგენა, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე ვფიქრობთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს აღნიშნული, კანონმდებლობა უთითებს ისეთ შემთხვევებზე რა დროსაც შეუძლებელი ხდება ნოტარიუსთან მისვლა და ანდერძის შედგენა თუმცა აქ არ გვაქვს მოხსენიებული პანდემია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლის მიხედვით ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან: საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს; ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება; გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება; დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია; ე) პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, თუ მოანდერძე პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული.⁸³ აღნიშნულ მუხლში, როგორც ვხედავთ მოხსენიებულია ის თუ მოანდერძემ როგორ უნდა შეადგინოს ანდერძი საავადმყოფოში ყოფნისას, გემზე ან საჰაერო ხომალდზე ან კიდევ ექსპედიციის დროს და აგრეთვე კანონი არეგულირებს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირების და სამხედრო ნაწილში მყოფ პირების მდგომარეობას ანდერძთან

⁸³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113>

მიმართებით. თუმცა როგორც ვხედავთ ამ მუხლში არ არის ნახსენები ისეთი რთული სიტუაცია როგორც არის პანდემია, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამ ვითარებაში, კერძოდ კი დღევანდელი რეალობაში „კოვიდ-19“-ის პირობებში.

მოგეხსენებათ რომ 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში განხორციელდა სრული ლოკდაუნი რის შედეგადაც ყველანაირი გადაადგილება იზღუდებოდა და არა მარტო ანდერძის შედგენა არამედ ყველაფერი უმოძრაო და უმოქმედო გახდა. ამ პერიოდში შეუძლებელი იყო ანდერძის შედგენა შცვლა ან გაუქმება რაც შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც კი იყო გარკვეულ პირთა წრისათვის.

ვფიქრობთ უნდა არსებობდეს რაიმე საკანონმდებლო დათქმა იმის თაობაზე როგორ განხორციელდეს პანდემიის პერიოდში ანდერძის შედგენა გაუქმება ან შეცვლა, გვაქვს კანონი, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს არსებული ვითარებას აწესრიგებს თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ კანონშიც ბევრი მუხლი ძალიან ბუნდოვანია უფლებების შეზღუდვის კუთხით. აქვე აღვნიშნავთ რომ არსებობს მეორე მოსაზრება ანდერძის შედგენისას შესაძლოა გამოსავალი შინაურული ანდერძის შედგენაში ვეძებოთ, მაგრამ თუ პირს არ შესწევს უნარი ანდერძის შეგენის, ან წერა-კითხვის უცოდინარია, ან კიდევ უსინათლოა როგორ უნდა განახორცილოს მან ანდერძის შედგენა? ამიტომ მიგვაჩნია დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, პანდემიის პირობებში მოხდეს, ზემოაღნიშნული საკითხების სამართლებრივი რეგულირება და სამოქალაქო კანონმდებლობაში, ანდერძით მემკვიდრეობის ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჩაიწეროს შესაბამისი ნორმა (1359-ე მუხლთან მიმართებით), რომელიც მოაწესრიგებს ზემოაღნიშნულ პრობლემურ საკითხს.

6.2 ანდერძის შეცვლის საშუალებები და COVID-19.

ბრძოლა COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ უპრეცედენტო გამოწვევა აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსათვის, საქართველოს ჩათვლით. ამ ბრძოლაში საქართველოს გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ იყო მზად, გაეცა სათანადო პასუხი ამ გამოწვევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რთული, და, ალბათ, შეუძლებელიც კი იყო იმის განჭვრეტა, რომ პანდემიას შეეძლო, გამოეწვია ამ მასშტაბის შეზღუდვები, შესაფერისი

საკანონმდებლო ბაზის არსებობა პრაქტიკაში თავიდან აგვაცილებდა ისეთ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება დაწესებული შეზღუდვების ლეგიტიმურობასა და პროპორციულობას.⁸⁴

ანდერძის შეცვლის რამდენიმე საშუალებას გვთავაზობს კანონმდებელი თუმცა ვფიქრობ ანდერძის შეცვლა პრაქტიკულად ძალიან რთული იქნება პანდემიის პერიოდში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლის მიხედვით მონდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი:

ა) ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება;⁸⁵ ამ შემთხვევაში როგორც ზემოთაღნიშნულ ფაქტიურად იგივე პრობლემის წინაშე დგება მამკვიდრებელი როგორც ახალი ანდერძის შედგენისას, შესაბამისად ამგავრი ანდერძის შეცვლის საშუალება პანდემიის პერიოდში ფაქტიურად უმოქმედო ხდება.

სამოქალაქო კოდექსი გვთავაზობს ანდერძის შეცვლის შემდეგ ვარიანტს ეს არის ბ) სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა; თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სრულად ჩაიკეტა ყველა ინსტიტუცია, ამ შემთხვევის გამოყენებაც შეუძლებელი გახდა მამკვიდრებლისთვის ანუ ანდერძის შეცვლის მეორე ვარიანტიც ფაქტიურად შეუძლებელია პანდემიის პერიოდში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გვთავაზობს მესამე ვარიანტს რა დროსაც შეიძლება განხორციელდეს ანდერძის შეცვლა, ანდერძის შეცვლა: გ) ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით მონდერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ მონდერძის განკარგულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა როგორ უნდა განხორციელდეს განკარგულების გაცემა ნოტარიუსისთვის მონდერძის მხრიდან თუ თვითონ მონდერძე არ მივა ნოტარიუსთან შეიძლება აქ კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზეც მიუთითოთ, მაგრამ როდესაც შეცვლას ეხება საქმე და არა გაუქმებას სრულად ელექტრონული საშუალების გამოყენებით ამის განხორციელება

⁸⁴https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/ShortVersion_GEO_WEB.pdf, კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები“, 2020-2021 წელი, გვ.7, ნანახია 07.07.2021

⁸⁵საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113>

რთულდება, აქედან გამომდინარე ანდერძის შეცვლის მესამე საშუალებაც სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც უმოქმედო აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში.

ვფიქრობთ, აქაც მიზანშეწონილი იქნება სიახლის შემოტანა, რათა პანდემიისა და განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში ანდერძის შეცვლისა და გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს.

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ადამიანის უფლებათა კუთხით უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს კანონმდებლობისა (საქართველოს კონსტიტუცია და კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ) და ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების, როგორებიცაა საერთაშორისო პაქტი და ევროპული კონვენცია, შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ადამიანის იმ უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, რომლებიც აკრძალულია ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.⁸⁶ მიუხედავად იმისა რომ პანდემიის პერიოდში ფაქტიურად ადამიანის უფლებების დარღვევა არ მომხდარა მაინც შეიზღუდა გარკვეული პირთა მდგომარეობა, რომელმაც დააზარალა ისინი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, ანდერძით მემკვიდრეობის კუთხით.

⁸⁶https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/ShortVersion_GEO_WEB.pdf კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები“, 2020-2021 წელი, გვ.8, ნანახია 07.07.2021

სასამართლო პრაქტიკის განხილვა

7.1 სასამართლო გადაწყვეტილება I

მნიშვნელოვანია სამემკვიდრეო სამართლის, კერძოდ კი ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის განხილვა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. მეტი სიცხადისათვის მოვიყვანო მაგალითს, ორი სასამართლო პროცესიდან.

პირველ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება ეხება უცხო ქვეყნის კანონმდებლობას, კერძოდ კი რუსეთში მიღებული გადაწყვეტილების აღიარების ფაქტს, ხოლო მეორე შემთხვევაში განვიხილავთ ანდერძის ბათილობის საკითხს, სამივე ინსტაციის გადაწყვეტილებებით.

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს – რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.

აღწერილობითი ნაწილი გვაქვს შემდეგი სახით წარმოდგენილი „მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის და მესამე პირების ნოტარიუ სების მიმართ ქ.თბილისის ნოტარიუსის მიერ 2003 წლის 31 ოქტომბერს დამოწმებულ ანდერძის ბათილად ცნობისა და ქ.მოსკოვში, მდებარე არასაცხოვრებელი ფართის 2 /7-ის, ასევე ანაბარზე არსებულ თანხაზე საკუთრების აღიარების შესახებ.

ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობისა და სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი წესით არასაცხოვრებელი ფართისა და ფულადი ანაზღაურების შესაკუთრედ აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შუამდგომლობა ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ ანდერძის ბათილად ცნობისა და სამკვიდროს მიღების თვის დადგენილი წესით არასაცხოვრებელი ფართისა და ფულადი ანაზრის მესაკუთრედ აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხემდა მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, შუამდგომლობა ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა იმ საფუძველით, რომ ანდერძი, რომლის თაობაზეც მიღებულ იქნა ქ.მოს

კოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება , ყალბია. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა მოცემულ ანდერძზე ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნასა და ამ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გარემოებები ვერ გახდება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის დანაწესების შესაბამისად, რა დროსაც ამოწმებს შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან ფორმალურ შესაბამისობას, ისე, რომ არ იკვლევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის საკითხს.

ამდენად, მითითებული გარემოებები ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის, ასევე მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ.მოსკოვი ს პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.⁸⁷

მოცემული სასამართლო გაგდაწყვეტილებს საფუძველზე უნდა ითქვას რომ ჩემის საკვლი თემის ერთ-ერთ მწმწნელოვან ასპექტს ის ფაქტი წარმოადგენდა თუ როგორ უნდა მომხდარიყო საქართველოი დაწერილ ანდერძის აღიარება უცხო ქვეყანაში ან

⁸⁷ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> ნანახია 11.06.2021

პირიქით, მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს მაგალთზე ნათად გამოჩნდა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონმდებლობის მოქმედების სფერო, უზენაესმა სასამართლომ მოცემული საქმეში ყურადღება იმ ფაქტზეც გაამახვილა რომ მნიშვნელოვანი იყო მოსკოვის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება რადან კანონმდებლობა ამის საშუალებას გვაძლევს ხოლო მეორე შუამდგომლობას რომელიც წარმოდგენილი იყო მოწინააღმდეგე მხარის მიერ, არ მიიჩნია სწორად მისი დაკმაყოფილება ვინაიდან აღიარების მომენტში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მოსკოვის სასამართლოს მიერ იღებული გადაწყვეტილების ხელმეორედ გადაწყვეტა რაღა თქმა უნდა კანონმდებლობის შესაბამისად იხელმძღვანელა უზენაესმა სასამართლომ და ამგვარი დასკვნაც დადო. აღნიშნული გადაწყვეტილებით იმის დანახვა და თქმ მსურს რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაც ავალდებულებს ქვეყნებს მიღოს და აღიაროს სხვა ქვეყნის გადაწყვეტილება კერძოდ კი სხვა ქვეყნის ანდერძი ისე როგორც არის უცხო ქვეყანაში აღიარებული და მიჩნეული...

7.2 სასამართლო გადაწყვეტილება II

განვიხილოთ მეორე სასამართლოს გადაწყვეტილებაც რომელიც წმინდა ანდერძით მემკვიდრეობის საკითხს მოიცავს აღნიშნულიც ძალიან მნიშვნელოვანია წარმოდგენილი თეორიული მასალის განმტკიცებისთვის პრაქტიკული კუთხით.

მოცემული გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მოკლე შინაარსი არის შემდეგი სახის: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნოტარიუსის მიმართ, ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ, და აქვე დაასახელა მესამე პირი რომელსაც მამკვიდრეელმა დაუტოვა თავისი ქონება, სარჩელი აღძრულია შემდეგი საუბუღებით კერძოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ნოტარიუსთან მიმართვის გზით გაირკვა რომ ანდერძში მოხსენიებული არა არის მოსარჩელე რომელიც მამკვიდრებლის ძმიშვილი და მისივე განმარტებით მამკვიდრებლის ერთადერთი მემკვიდრე ანდერძის გახსნის შემდგომ აღმოჩნდა რომ მთელი ქონება მონდერძემ დაუტოვა მესამე პირს, მოსარჩელემ უარყო აღნიშნული ფაქტი და განმარტავდა რომ მამკვიდრებელი იყო 81 წლის ავადმყოფი და ჭკუა სუსტი ამიტომ

მის მიერ შედგენილი ანდერძი არ არის ნამდვილი, თანაც მოსარჩელე მიუთითებდა იმ ფაქტზე რომ მოანდერძემ არ იცოდა ქართული ენა ვინაიდან დამთავრებული ქონდა სომხურენოვანი სკოლის 3 კლასი და ანდერძის შედგენასაც არ ესწრებოდა თარჯიმანი ხოლო მოწმეები რომლებიც დაესწრნენ ანდერძის შედგენას არიან მესმე პირის ნათესავები. რაც შეეხება მოპასუხის პოზიციას მან აღნიშნა რომ მამკვიდრებლის ჭკუასუსტობის საკითხი მოკლებულია საფუძველს ხოლო რაც შეეხება წერაკითხვის უცოდინრობის ფაქტს მამკვიდრებელს დამთავრებული ქონდა თბილისის სკოლა რომელიც იყო ქართულენოვანი სასწავლო წლები კი შეადგენდა 8 წელს რაც წერა კითხვისთვის სრულიად საკმარისი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილაად იქნა ცნობილი კანონმდებლობის სრული დაცვით შედგენილი ანდერძი, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და გამოიტანა გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ძალაში დარჩა ანდერძი, მნიშვნელოვანია სამართლებრივი საფუძვლები რაც ამგვარ ცვლილებას მოჰყვა კერძოდ კი სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა იმ ფაქტზე რომ ჩატრებელი ექსპერტიზით დადასტურდა რომ ხელმოწერა ნამდვილად მოანდერძეს ეკუთვნოდააგრეთვე მოანდერძის ჭკუა სუსტობის ფაქტი არ დასტურდება არანაირად, ხოლო რაც შეეხება წერა კითხვის უცოდინრობის ფაქტსაღნიშნული დადასტურებული რომ მამკვიდრებელს დამთავრებული ქონდა თბილისის სკოლა სადაც 8 წელი ისწავლა სააპელაციო სასამართლომ ამ შეკრებილი მტკიცებულებებით იმსჯელა და საბოლოოდ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. აქვე აღსანიშნავია რომ სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლზე მითითებით სასამართლო ჩათვალა, რომ სამოქალაქო სამართალი ანდერძის რამოდენიმე ფორმას ადგენს. მათ შორის, მიუთითებს რეკვიზიტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სანოტარო ანდერძის ნამდვილობას, კერძოდ, მამკვიდრებლის ხელმოწერას და ნოტარიუსის მიერ ანდერძის დადასტურებას.

აგრეთვე სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა შემდეგი: სამოქალაქო კოდექსის ანდერძი თავისი სამართლებრივი ბუნებით გარიგებას

წარმოდგენს და, უშვალოდ ანდერძისთვის დამახასიათებელი წინაპირობების გარდა, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარიგების ნამდვილობის პირობებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც მიღებაც არ არის სავალდებულო, თუმცა მიუხედავად ამისა, გამოვლენილი ნება აღქმადი უნდა იყოს სხვა პირებისათვის და გამოკვეთილად ჩანდეს მამკვიდრებლის ნამდვილი აზრი. სწორედ ამ პირობების არსებობას უკავშირებს სამოქალაქო სამართალი ანდერძს, როგორც გარიგების ნამდვილობას. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ანდერძი შედგენილია კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ამასთან დადგენილია მონანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობა და არ არსებობს ანდერძის, როგორც გარიგების ბათილობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხარემ საკასაციო სასამართლოში და მოითხოვა ახალი ექსპერტიზის ჩატარება თუმცა აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა არც სააპელაციო სასამართლოში და არც საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა იგი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.⁸⁸

რაც შეეხება საბოლოოდ ამ გადაწყვეტილების შეფასებას ვფიქრობ რომ კანონის ფარგლებში მოქმედება როგორც სააპელაციო ასევე საკასაციო სასამართლო ხოლო რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო კანონის ფარგლებში ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე შეუძლებელი იყო ანდერძის გაბათილების საკიტხის დადგომა. ზოგადად კი უნდა ითქვას რომ ანდერძის გაუქმება, ბათილობა პრაქტიკაში არ უნდა ხდებოდეს მარტივად რაც სამწუხაროა რეალობა გვაქვს და ხშირ შემთხვევაში ბათილი ხდება ანდერძის გარკვეული ნაწილი, რომლის დროსაც ფაქტიურად მამკვიდრებლის ნება რჩება უყურადღებოდ და გაუთვალისწინებელი რაც ძალიან ცუდია, ვფიქრობ სასამართლოების მხრიდან ძალიან დიდი სიფრთხილი და მტკიცებულებების

⁸⁸ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> ნანახია 15.06.2021

ერთიანობის საფუძველზე უნდა მიიღოს ასტი გადაწყვეტილებას რასაც ანდერძის ბათილობა ჰქვია, როგორც მოცემული შემთხვევიდან დავინახეთ კანონის ფარგლებში დაწერილი და დამტკიცებული ანდერძი მიიჩნია ბათილად პირველი ინსტანციის სასამართლომ, შემდგომში რომ არ გასაჩივრებულიყო აღნიშნული გადაწყვეტილება ანდერძი რომლის შემდგენი პირიც უკვე გარდაცვლილია რჩებოდა ბათილი და ქონება კი განაწილდებოდა იმ პირზე რომელიც ანდერძში ნახსენებიც კი არ იყო. ყოველივე ზმთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ რომ თითოეული ანდერძს აქვს ძალიან დიდი ძალა და ამიტომ უნდა მოხდეს მათი სათანადო დაცვა.

დასკვნა

საბოლოოდ უნდა ითქვას რომ მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სწორედ ანდერძით მემკვიდრეობა წარმოადგენს, როგორც ჩვენს ნაშრომში ვიმსჯელებთ, არსებობს გარკვეული ხარვეზები როგორც კანონმდებლობის კუთხით ასევე პრაქტიკულ ნაწილშიც, ნაშრომში ასევე განვიხილეთ პანდემიის პერიოდში შექმნილი საკანონმდებლო ხარვეზებიც, ანდერძის მემკვიდრეობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოვახდინეთ შედარებით ანალიზი უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან სადაც ნათლად გამოვკვეთეთ განსხვავება და სიახლოვე ქართულ და უცხო ქვეყნის კანონმდებლობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში ანდერძით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები არის შესწავლილი მაგრამ უნდა ითქვას ისიც რომ, არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ ცვლილებებს.

ჩვენს მიერ განხილული თემებიდან აღსანიშნავია ანდერძის შედგენასთან დაკავშირებული ასაკი რომელზეც ყურადღება იქნა გამახვილებული კერძოდ კი გამოვყავით ის ფაქტი რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არ ანიჭებს უფლებას შეზღუდულ ქმედუნარიან პირს შეადგინოს ანდერძი და არც ისეთი ნორმა აღარ გვაქვს კანონმდებლობაში რა დროსაც პირი 18 წლამდე შეიძლება მიჩნეულიყო ქმედუნარიანად, აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი ქმედუნარიანობის ნაწილში ვინაიდან ნაშრომში წარმოჩენილია ის გარემოებები სადაც კანონმდებლობას აქვს ხარვეზი და საჭიროებს შევსებას.

ნაშრომში გამოკვეთილია ანდერძის აღსრულების პრობლემებიც, კერძოდ კი ნათად არის წარმოდგენილი ანდერძის აღსრულების სამართლებრივი გზები გამოკვეთილია მასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

ნაშრომის დასასრულს განვიხილეთ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც მთელი მსოფლიოს ცხოვრება შეცვალა და მათ შორის შეცვალა კანონმდებლობაც, ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს COVID-19-ის პირობებში ანდერძით მემკვიდრეობის საკითხი. ვფიქრობ ანდერძით მემკვიდრეობის კუთხითაც საჭიროებს კანონი შცვლას და განახლებას, ნაშრომში გამოიკვეთა კონკრეტული მუხლები რისი შეცვლაც

შესაძლებელია და უფრო გამარტივებული გზაა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის პანდემიის პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონმდებლობა აწესრიგებს ანდერძით მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, იგი არ არის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებული. არსებობს ისეთი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ გარკვეულ ცვლილებებსა თუ დამატებებს კანონმდებლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი V
3. თ.გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)
4. რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი 2011.
5. შ.ჩიკვაშვილი. (2000), მემკვიდრეობის სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“.
6. შ.ჩიკვაშვილი. (2004). საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი.
7. შენგელია რ. შენგელია ე. (2017). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, მერიდიანი.
8. ნინუა, ე. ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება მართლმსაჯულება და კანონი.
9. ნ. როსეფაშვილის, ნ. მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით.
10. ნანდოშვილი, ე. ანდერძი და სამკვიდრო ქონება. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი.
11. ლ., ჭ. (2011). სამოქალაქოსამართლისზოგადინაწილი. თბილისი.
12. ჰ.ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით(აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4
13. შენგელია, რ. შენგელია ე. (2015). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, მერიდიანი.

უცხო ენოვანი ლიტერატურა:

1. The American Bar Association, Family Legal Guide, 1994
2. Bertocchi, G. (2006). The Law of Primogeniture and the Transition from Landed Aristocracy to Industrial Democracy.
3. Сергеев А. П., Толстой Ю. К., Гражданское право, М., 2006, 641.

4. Сергеев А. П., Толстой Ю. К., Елисеев И. В., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья, М., 2002, 23.

ინტერნეტ რესურსები:

1. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/turketi.pdf
2. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
3. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201111.pdf>
4. <http://myl.ge/img/original/2015/11/9/264674472.pdf>
5. <https://elawjournal.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/>
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113>
7. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1494>
8. <file:///D:/2019-1-LAWJOUR-GEO.pdf>
9. <https://openscience.ge/bitstream/1/1718/1/Mariam%20Nensadze%20Samagistro.pdf>
10. http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf
11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>
12. http://lawlibrary.info/ge/books/2019gizge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4
13. https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/ShortVersion_GEO_WEB.pdf
14. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
15. http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf